ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 10 დეკემბერი 2003 №235 (2006) | ფასი 50 თეთრი




# აჰა, პრაჰა!

## ჩეხებმა თურქები და იტალიელები კინსლურზე წამოიკიდეს




სპარტა — ლაციო 1:0. რობერტო მანჩინი და მისი „ლაციო“ მარეკ კინსლის ამ თავურმა უევროპოდ დატოვა

# BENTORNATO KALADZE

## კალაძეს სალამი შეთხრეს, შოთა-ზურას ნახვამდის დღეს აშვეთიას ჰაიბერიზე შეუბერავენ

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები





ბეშიქთაში — ჩელსი 0:2. თურქებს ლონდონელებმაც მარცხი შეამთხვიეს და პრაღიდანაც ცუდი ამბავი გაიგეს





# ?მუსიე წავა, მუსიე მოვა?

## ბიძინა გეგიძეს პარიზიდან ისევ ფრანგი მოჰყავს

დიდი შანსია, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ახალ წელს ახალი მწვრთნელით შეხვდეს. საქართველოს რაგბის კავშირის უფროსობა რამდენიმე კანდიდატს განიხილავს, ოღონდ ეს საკითხი ჯერ განხილვას არ გასცდენია.

რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე ახლა პარიზშია, სადაც ევროპაში რაგბის განვითარების საბჭოს (**FIRA-AER**) ყოველწლიურ კონფერენციას ესწრება. პარიზში საგაისო ერთა თასის და საკლუბო ტურნირების კალენდარი უნდა დადგინდეს. პარიზში გეგიძე კლოდ სორელსაც შეხვდება, რომლის ბორჯღალოსანთა მწვრთნელად დარჩენის შანსი მცირეა. ამბობენ, თუ სორელი წავიდა, მაშინ „ლელოებს“ ისევ ფრანგი ან ავსტრალიელი დამოძღვრავსო.

ავსტრალიელის ვინაობას ვერ მოგახსენებთ, ფრანგი კანდიდატი კი, სავარაუდოდ, უნდა იყოს „პატარა ნაპოლეონად“ წოდებული ბერნარ შარეირი, რუმინეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი. შარეირმა ამ ორ წელში სორელს ორივე დუელი დამაჯერებლად მოუგო, მაგრამ საქართველოს ძლევა დიდ დამსახურებად არ ჩაუთვალეს რუმინელებმა. მსოფლიოს თასზე ნამიბიასთან მოგებული მატჩის წილ ავსტრალიასთან, ირლანდიასა და არგენტინასთან დიდი სხვაობით წაგება შარეირს არ ეპატია და ახლა უმუშევარია.

# ჩემპიონთა ლიგა
## ჯგუფური ეტაპი. VI ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**მანჩესტერი 2:0 შტუტგარტი**

1:0 ვან ნისტელროოი (45), 2:0 გიგზი (58)

მანჩესტერი: კეროლი, გ. ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფლეტჩერი, ფ. ნევილი, სქოულზი (ჯემბა-ჯემბა 80), ფორჩუნი, გიგზი (ბელიონი 71), ვან ნისტელროოი (ფორლანი 71)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ვენცელი, ლამი, სოლდო, ვრანიეში (ტიფერტი 46), ჰელდტი, გლები (სენტურიონი 76), კურანი, საბიჩი (კაკაუ 46)

მწვრთნელი: ფელიქს მაგათი

გაფრთხილება: სქოულზი, ფორჩუნი

მსაჯი: ერიკ პულა (საფრანგეთი)

67 141 მაყურებელი

**რეინჯერსი 1:3 პანათინაიკოსი**

1:0 მოლსი (28), 1:1 ჟუტაუტასი (32), 1:2 ბასინასი (62), 1:3 კონსტანტინუ (80)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ხიზანიშვილი (ვანოლი 65), ბერგი, ბოლი, როსი (დერილ დაფი 83), ბარკი (ოსტენსტადი 69), ს. შიუზი, ნუნუ კაპუშუ, მოლსი, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, ნ. მორისი, სეიტარიდისი, მიუნხი, გუმასი, ჟუტაუტასი, ბასინასი, სანმარტიანი (ეპალე 46), საპანისი (ვლაოვიჩი 77), კონსტანტინუ

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

გაფრთხილება: სანმარტიანი, მიუნხი, რიკსენი

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

48 588 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 5 | 0 | 1 | 13:2 | 15 |
| შტუტგარტი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| *პანათინაიკოსი* | 6 | 1 | 1 | 4 | 5:13 | 4 |
| რეინჯერსი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 4 |

*„მანჩესტერი" და „შტუტგარტი" გავიდნენ მერვედფინალში, „პანათინაიკოსი" უეფას თასზე*

### F ჯგუფი

**რეალი 1:1 პორტუ**

1:0 სოლარი (9), 1:1 დერლეი სილვა (35პ)

რეალი: სესარი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ (მინამბრესი 46), ბორხა (ხორდი 89), კამბიასო, სოლარი, ზიდანი, რონალდო (პორტილიო 46)

მწვრთნელი: კარლუშ კეიროში

პორტუ: ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, რ. კარვალიუ, პედრუ ემანუელი, რიკარდუ კოშტა, ალენიჩევი (ბოსინგვა 80), პ. მენდეში, კოშტინია, დეკო სოუზა, დერლეი სილვა (ბ. მორაეში 90), იანკაუსკასი (უ. პერეირა 74)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: კოშტინია

მსაჯი: სტივ ბენეტი (ინგლისი)

28 000 მაყურებელი

**პარტიზანი 1:1 მარსელი**

0:1 მიდო (60), 1:1 დელიბაშიჩი (79)

პარტიზანი: პანტიჩი, რჟასა (დრულოვიჩი 65), ოგნიანოვიჩი, სავიჩი, ჩირკოვიჩი, მალბასა, დულიაი, ივიჩი, ილიჩი (ჩაკარი 85), დელიბაშიჩი, ილიევი (რადონჩიჩი 85)

მწვრთნელი: ლოთარ მათეუსი

მარსელი: გავანონი, იოჰანსენი, ვან ბუიტენი, კრისტენვალი (ბეიე 14), მეიტე, ჰემდანი, ეკერი, ს. ნდიაიე, ვახოუშეკი, მიდო, დროგბა

მწვრთნელი: ალენ პერენი

გაფრთხილება: ვახოუშეკი

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

30 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:5 | 14 |
| პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 9:8 | 11 |
| *მარსელი* | 6 | 1 | 1 | 4 | 9:11 | 4 |
| პარტიზანი | 6 | 0 | 3 | 3 | 3:8 | 3 |

*„რეალი" და „პორტუ" გავიდნენ მერვედფინალში, „მარსელი" უეფას თასზე*

### G ჯგუფი

**ბეშიქთაში 0:2 ჩელსი**

0:1 ჰასელბაინკი (77), 0:2 ბრიჯი (85)

ბეშიქთაში: ო. კორდობა, ემრე აშიქი, გიარო, ძაგო, იასინი (აჰმედ ჰასანი 81), ტაიფური, დობრა (ოკან კოჩი 70), იბრაჰიმი, პანჩუ, სერგენი (ტუმერი 75), ილჰან მანსიზი

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ტერი, დესაი, ბაბაიარო (ბრიჯი 83), გრონკიაერი (დემიენ დაფი 72), მაკელელე, ჯერემი, ლამპარდი, ჰასელბაინკი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: გრონკიაერი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

55 350 მაყურებელი

**სპარტა 1:0 ლაციო**

1:0 კინცლი (90)

სპარტა: ბლაჟეკი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, ჰობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენკა, მიხალიკი (კინცლი 72), გლუშკევიჩი (იეჟეკი 85), სიონკო (იუნი 89)

მწვრთნელი: ირჟი კოტრბა

ლაციო: პერუცი, ნეგრო, სტამი, ფ. კოუტუ, ფავალი (ს. კონსეისაუ 89), ფიორე, ალბერტინი, გოტარდი (ლივერანი 53), სტანკოვიჩი, კორადი, მუცი (ს. ინძაგი 73)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კორადი, სტანკოვიჩი

მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

17 825 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:3 | 13 |
| სპარტა | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| *ბეშიქთაში* | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |

*„ჩელსი" და „სპარტა" გავიდნენ მერვედფინალში, „ბეშიქთაში" უეფას თასზე*

### H ჯგუფი

**მილანი 1:2 სელტა**

1:0 კაკა (41), 1:1 ხესული (42), 1:2 ხოსე იგნასიო (71)

მილანი: აბიატი, შიმიჩი, ლაურსენი, კოსტაკურტა (აბატე 68), კალაძე, ბროკი, რედონდო, ზეედორფი (რუი კოშტა 46), სერჟინიო, კაკა (ტომასონი 46), ბორიელო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

სელტა: კავალიერო, ანხელი, კასერესი, ბერიზო, სილვინიო, ხესული, ლუქსენი, ხოსე იგნასიო (ჯოვანელა 80), ხუანფრანი, გუსტავო ლოპესი (პ. კონტრერასი 89), მილოშევიჩი (კატანია 84)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, ხუანფრანი, ბერიზო, ბროკი, ჯოვანელა

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

36 207 მაყურებელი

**ბრიუგე 2:1 აიაქსი**

1:0 ლანგე (27), 1:1 სონკი (42პ), 2:1 შატერნსი (84)

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, როზენალი (სმოლდერსი 80), ვან დერ ჰიდენი, ენგლებერტი, კლემანი, ნ. ჩეპი, ლანგე (შატერნსი 66), ვერპეინი, ს. მარტენსი (კორნელისი 89)

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

აიაქსი: ლობონტი, ჰეიტინგა, გრიგერა (ვან დამი 85), ესკუდე, მაქსველი, სნეიდერი, ნ. დე იონგი, მიტეა (სოტერსი 79), ვან დერ ვაარტი, იბრაჰიმოვიჩი (ლიტმანენი 72), სონკი

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

გაფრთხილება: ჰეიტინგა, დე იონგი, ვერპეინი

მსაჯი: დომენიკო მესინა (იტალია)

28 041 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 3 | 1 | 2 | 4:3 | 10 |
| სელტა | 6 | 2 | 3 | 1 | 7:6 | 9 |
| *ბრიუგე* | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | 8 |
| აიაქსი | 6 | 2 | 0 | 4 | 6:7 | 6 |

*„მილანი" და „სელტა" გავიდნენ მერვედფინალში, „ბრიუგე" უეფას თასზე*

# მილანმა და კალაძემ ნახევარი ძალით ითამაშეს

*კახა კალაძე გენუის მერე წუხელ „სან სიროზეც" დაბრუნდა. ჩვენებურმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლო, არაფრისმომცემ მატჩში 90 წუთი დაჰყო მინდორზე. „მილანმა" სათადარიგო შემადგენლობით ითამაშა, გუნდი „ბოკა ხუნიორსთან" საკონტინენტთაშორისო თასის საკვირაო ფინალისთვის ემზადება.*

*„როსონერის" ძირითადის შვიდი ფეხბურთელი უკვე იაპონიაშია. დღესვე, ნაშუადღევს იოკოჰამაში დანარჩენებიც წავლენ. ცხადია, მიდის კალაძეც. გუშინ კახას მილანში ნამატჩევს დავუკავშირდით...*



**— „სან სიროზე" დაბრუნებასაც გილოცავ. ტიფოზები ცოტანი კი იყვნენ, მაგრამ დახვედრა ალბათ განსაკუთრებული იქნებოდა...**

— ასეა. ქომაგებს ოვაციები და კომპლიმენტები არ დაუკლიათ. განსაკუთრებით ტრიბუნებზე გამოკრულმა პლაკატებმა BENTORNATO KALADZE მასიამოვნა, ბედნიერი იყოს შენი დაბრუნებაო.

**— როგორ შეაფასებდი შენს თამაშს, კმაყოფილი ხარ?**

— რომ ვთქვა, ძალიან კმაყოფილი ვარ-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ალბათ, ნორმალურად ვითამაშე. თუმც სასურველი ფორმისგან რომ ჯერ შორს ვარ, ფაქტია. თანაც, ტრავმა ბოლომდე კიდევ არ მომიშუშებია.

**— ანჩელოტიმ რა გითხრა?**

— განსაკუთრებული არაფერი. პირადად არც არავისთვის უთქვამს რამე.

**— „სელტასთან" მატჩის შენეული შეფასება...**

— წავაგეთ, მაგრამ არც ვნერვიულობთ. ჯგუფიდან გასვლა ტურით ადრე გავინაღდეთ, უმოტივაციო თამაში იყო. უკვე რა ხანია, „ბოკა ხუნიორსთან" დაპირისპირებაზე ვფიქრობთ.

**— მეორე გაშვებული გოლისას დაცვა აშკარად ჩავარდა...**

— გეთანხმები, მაგრამ ახლა ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. არც გვინერვიულია. „სელტას" პირველ ტაიმში ვაჯობეთ კიდეც, მათ მეორეში იძალეს.

**— ახლა მთავარზეც ვთქვათ. „ბოკა ხუნიორსის" ფეხბურთელები უკვე თამამად აცხადებენ, „მილანი" ჩვენი მტერია, მათ არაფერს დავუთმობთ და უნდა მოვუგოთო. თქვენს განწყობაზე ლაპარაკი ალბათ ზედმეტია...**

— ცხადია, ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ანჩელოტიმ ძირითადის შვიდი ფეხბურთელი ადრე გაუშვა იოკოჰამაში, აკლიმატიზაციას და იქაურ გარემოს რომ შეეგუონ. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ მტრობას, თუ ეგრეა, მხოლოდ და მხოლოდ მინდორზე ჩვენც გადავემტერებით. „მილანი" ახლა უძლიერეს ფორმაშია და უმაღლესი დონის ფეხბურთსაც თამაშობს. ძალიან გვსურს, საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგოთ, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონები გავხდეთ და ამისთვის მაქსიმუმს გავიღებთ.

**— იოკოჰამაში, ბუნებრივია, შენც იქნები. დავუშვათ, ანჩელოტიმ თავიდანვე ძირითადში გათამაშა. მზად ხარ?**

— არ მსურს, მოგატყუოთ: ასი პროცენტით ნამდვილად არ ვარ მზად იმისთვის, ასეთი დონის და რანგის მატჩში ორივე ტაიმი ვითამაშო. ჯანს არ ვუჩივი, უბრალოდ, საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ ვარ.

**გიორგი გუგაძიძე**




REUTERS

ბეშიქთაში — ჩელსი. რაც თურქებმა თამაშისას ტუალეტის ქაღალდი ისროლეს, მერე ისევ თავად დასჭირდათ

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი გადადებული მატჩები**

ბრედფორდი 0:1 ვესტ ბრომვიჩი

კარდიფი 2:2 პრესტონი

შეფილდ იუნ. 2:0 უოლსოლი

ვესტ ჰემი 0:1 სტოკი

კრისტალ პალასი 1:3 ძრიუ

**კონფერენსლიგა გადადებული მატჩები**

ფარნბორო 1:0 უოძინგი

შრიუსბერი 0:0 ტელფორდი

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

**1/8 ფინალი**

*ბრაზილია* 2:1დ.დ.(1:1) სლოვაკეთი

პარაგვაი 0:1 *ესპანეთი*

*სამხრეთი* 1:0 ავსტრალია

ირლანდია 2:3დ.დ.(2:2) *კოლუმბია*

## შვეიცარია

**ჩემპიონლიგა გადადებული მატჩი**

ვადუცი 1:1 სიონი

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 39- 40-08

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დღეს

## A ჯგუფი

### ლიონი — სელტიკი
### ბაიერნი — ანდერლეხტი

## ვარიანტები და ვარიაციები

**ვარიანტები** გავარჩიოთ. ცხადია, იმ ვარიანტებს ვგულისხმობთ, თანაბარქულიანობის შემთხვევაში ვის რა ბედი ელის.

„სელტიკს“ მერვედფინალში გასაღწევად ფრეც აძლევს ხელს, რადგან „ლიონი“ პირველ მატჩში დამარცხებული ჰყავს. თუ ისე მოხდა, რომ ჯგუფში ორივე მატჩი ფრედ დასრულდა, ანუ სამმა გუნდმა დააგროვა რვა-რვა ქულა, „სელტიკი“ ჯგუფიდან მაინც გადის, თანაც პირველი ადგილით, რაკი „ლიონის“ დარად ურთიერთშეხვედრებში „ანდერლეხტსაც“ სჯობნის. ამ შემთხვევაში მეორე ადგილს ბელგიური კლუბი დაიკავებს. „ლიონი“ უეფას თასზე გადაინაცვლებს, „ბაიერნი“ კი შარშანდელივით ხახამშრალი დარჩება.

ისე, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის არსებობის ისტორიაში პირველად გადამწყვეტი კრიტერიუმი უეფასეული კოეფიციენტი აღმოჩნდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ „ანდერლეხტი“ და „ლიონი“ თამაშებს ერთნაირი ანგარიშით მოიგებენ. მაშინ კოეფიციენტი პირველადგილოსნის გამოსავლენად გახდება საჭირო, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც ექნება — მერვედფინალში ისედაც ორივენი გავლენ.

შემადგენლობების მხრივ კი საქმე ასეა: „ლიონს“ ტრავმირებული არავინ ჰყავს და მეტიც, მალელი ნახევარმცველი დიარა დაემატება.

„სელტიკის“ საქმე უფრო რთულადაა. ჯეკი მაკნამარა და დიდიე აგატი დაშავებულები არიან, ალან ტომპსონი კი დისკვალიფიცირებულია.

„ბაიერნს“ გამოაკლდება კუნთმტკივანი ნახევარმცველი იენს იერემისი. საეჭვოა ხორვატი მცველის ნიკო კოვაჩის თამაშიც.

ბელგიელთა მწვრთნელი ჰუგო ბროოსი კი კარგ ხასიათზეა. ერთი, რომ ტრავმირებული არავინ ჰყავს და მეორე ის, რომ არუნა დინდანე გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი დაუბრუნდა. ოღონდ განვმარტოთ: როცა ვამბობთ, „ანდერლეხტს“ დაშავებული არავინ ჰყავსო, ახლადდამტვრეულებს ვგულისხმობთ, თორემ ნენად იესტროვიჩი და გორან ლოვრე იმდენი ხანია მკურნალობენ, აღარავის ახსოვს.

**ირაკლი ნინიძე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი — სელტიკი**

**ლიონი:** კუპე, დეფლანდრე, ედმილსონი, კასაპა, ბერტოდი, ჯ. დიარა, ჟუნინიო, მალუდა, ელბერი, გოვუ, ლუინდულა

**სელტიკი:** ჰედმანი, მიალბი, ბალდე, ვარგა, გრეი, მილერი, ლენონი, პეტროვი, სატონი, ჰარტსონი, ლარსონი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

**ბაიერნი — ანდერლეხტი**

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, კუფური, ლინკე, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი, პიზარო

**ანდერლეხტი:** ზიტკა, ჟევლაკოვი, ტიჰინენი, კომპანი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი, ბასეჯიო, კოლარი, დინდანე, მორნარი

მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |

## B ჯგუფი

### დინამო — ინტერი
### არსენალი — ლოკომოტივი



## ანრი ჟავის ჭიქაში

**დღეს** საღამოს „ჰაიბერიზე“ მასპინძლებს „ლოკომოტივის“ უმკაცრესი დაცვის ნგრევა მოუწევთ. მოსკოველებს მერვედფინალში გასაღწევად ფრეც ჰყოფნით და იური სიომინი ქულის აღებას შეეცდება. „მეთოფეები“ კი მეტოქის დასაცხრილად ემზადებიან და ალბათ სტუმრების გატეხვას თავიდანვე მოიწადინებენ.

შაბათს ლესტერიდან შინ დაბრუნებული „არსენალი“ ბაზაზე ჩაიკეტა და გუნდმა მედიასთან ურთიერთობა შეწყვიტა. არსენ ვენგერის მთავარი სადარდებელი ტიერი ანრია. ფრანგმა ფორვარდმა პრემიერლიგის ტური ტრავმის გამო გამოტოვა, მაგრამ ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, ითამაშებს თუ არა „ლოკომოტივთან“.

იური სიომინის თქმით, მისთვის სულ ერთია, ანრიანი „არსენალი“ შეხვდება თუ მის გარეშე. მოსკოველებმა ესპანეთში ორკვირიანი შეკრება გაიარეს დ მხოლოდ ერთი ამხანაგური მატჩი გამართეს — „მალაგას“ მეორე გუნდს 3:2 მოუგეს.

„მეთოფეებს“ გამოჯანმრთელებული პატრიკ ვიეირა და მარტინ კიოუნი დაუბრუნდათ. ასევე ჯანზეა სილვენ ვილტორდი და ანრის გამოცხვის შემთხვევაში თვისტომს იგი შეცვლის.

არანაკლები ბრძოლა გაიმართება კიევში. „დინამოს“ ოთხი ფეხბურთელი დააკლდება: სერგეი ფიოდოროვი, დენის ონიშჩენკო, ანდრეი გუსინი და ყველაზე ძვირადღირებული ლეგიონერი რობერტო ნანი, რომელიც გასულ კვირას დაშავდა და გუნდს დახლოებით სამი თვე ვერ დაეხმარება. სამაგიეროდ, ხორვატი ნახევარმცველი ლეკო გამოკეთდა და დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„ინტერი“ მარკო მატერაცის მოისაკლისებს და მას დანიელე ადანი შეცვლის, კრისტიანო ძანეტის კი — მატიას ალმეიდა.

ალბერტო ძაკერონი, იტალიური მედიის ვარაუდით, სამ თავდამსხმელს ათამაშებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო — ინტერი**

**დინამო:** შოვკოვსკი, დმიტრულინი, ნესმაჩნი, გავრანჩიჩი, საბლიჩი, ბელკევიჩი, გიოანე, გუსევი, ლეკო, შაცკიხი, რინკონი

**ინტერი:** ტოლდო, ი. კორდობა, ადანი, კანავარო, ხ. ძანეტი, ალმეიდა, ემრე ბელოზოღლუ, პასკუალე, ვიერი, კრუზი, მარტინსი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

**არსენალი — ლოკომოტივი**

**არსენალი:** ლემანი, ლორენი, კემპბელი, კიოუნი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, პირესი, ანრი (ან ვილტორდი), ბერხკამპი

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ევსეევი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ლეკხეტო, სენიკოვი, მამინოვი, იზმაილოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| არსენალი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:10 | 7 |
| დინამო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |

## C ჯგუფი

### აეკ — მონაკო
### პსვ ეინდჰოვენი — დეპორტივო

## ჩვენს შკან ფილიპსია!

**დღეს** ჰოლანდიურ „ფილიპსზე“ C ჯგუფის მეორე იღბლიანი გუნდის ვინაობა გაირკვევა. „ეინდჰოვენმა“ „დეპორტივო“ ორი და მეტი ბურთის სხვაობით უნდა დაამარცხოს, რათა „მონაკოსთან“ ერთად მერვედფინალში გააღწიოს. პსვ-ს ტრავმირებული მარკ ვან ბომელი და გრიპიანი იოჰან ფოგელი ვერ დაეხმარებიან. „ფილიპსის“ მეომრებს კარგად ესმით „დეპორთან“ მატჩის სიძნელე, თუმცა მათ უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი აქვთ და იძულებულნი არიან, ოდენ გამარჯვებისთვის ითამაშონ. „სხვა გამოსავალი არ რჩება — მხოლოდ მოგება! თუ ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასვლა გვსურს, საფეხბურთო ევროპას ჩვენი სიძლიერე უნდა დავუმტკიცოთ“ — განაცხადა მასპინძელთა დამრიგებელმა გუს ჰიდინკმა.

„დეპორტივოს“ მთავარი დანაკლისი მაურო სილვაა. „რკინის ბრაზილიელი“ „მალაგასთან“ შეხვედრაში დაშავდა და მის მაგივრად ჰიდინკის ბიჭებს ალდო დუშერი შეეჭიდება. ხავიერ ირურეტა ჩვეულებისამებრ იმედიანადაა: „ჩემმა გუნდმა მანჩესტერში და მიუნხენში გაიმარჯვა, ალბათ ეინდჰოვენშიც მოვიგებთ“ — უთხრა ესპანურ „მარკას“ „დეპორის“ მწვრთნელმა.

ამასობაში ათენში დაშნებს C ჯგუფის ლიდერ-აუტსაიდერიც გადააჯვარედინებს. „მონაკო“ ათქულიანი მარაგით პირველ ადგილზეა და კენტი ერთიანის ამარა დარჩენილ აეკ-ს სალაღობოდ მიაკითხავს. დიდიე დეშანის მუშკეტერებს გამოაკლდებათ იტალიელი მეკარე რომა, რომელმაც გუშინწინ ვარჯიშზე მუხლი დაიზიანა. მის მაგივრად ფრანგთა ღირსების სენეგალელი სილვა დაიცავს, ათენში არ იქნება დისკვალიფიცირებული კაპიტანი ლუდოვიკ ჟიული. ელინებს კი ბოლო თამაშის წაგება არ სურთ. „შევეცდებით, ჯგუფის ბოლო შეხვედრაში მაინც ვიხეიროთ. „მონაკოს“ რთული შეხვედრა ელოდება“ — დაიქადნა ბერძენთა მწვრთნელმა დუშან ბაევიჩმა.

**ლადო ხომერიძე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**აეკ — მონაკო**

**აეკ:** მიხაილიდისი, ბორბოკისი, კრეეკი, კაპსისი, მორასი, ზაგორაკისი, ცარტასი, კაცურანისი, ლაკისი, ოკასი, ნ. ლიბეროპულოსი

**მონაკო:** ტ. სილვა, გივე, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ე. სისე, ბერნარდი, პლასილი, როტენი, პრსო, მორიენტესი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**პსვ ეინდჰოვენი — დეპორტივო**

**პსვ ეინდჰოვენი:** ვატერეუსი, ბოგელუნდი, ჰოფლანდი, ბუმა, ი. ლი, რომედალი, პარკი, ოოერი, რობენი, კეჟმანი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

**დეპორტივო:** მოლინა, ექტორი, ჟორჟე ანდრადე, სესარი, კაპდევილა, ვიქტორი, სერხიო, დუშერი, ფრანი, ვალერონი, ლუკე

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 15:6 | 10 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 1 | 1 | 10:9 | 10 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 |
| აეკ | 5 | 0 | 1 | 4 | 1:11 | 1 |

*„მონაკო“ გავიდა მერვედფინალში*

## D ჯგუფი

### იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი
### სოსიედადი — გალათასარაი

## ფრე და ფრე?

**„იუვენტუსს“** ფრე სრულიად დააკმაყოფილებს. იმ შემთხვევაში, თუ ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ მასპინძლები სტუმრებს, ბერძნული „ოლიმპიაკოსის“ ფეხბურთელებს ვერ დაამარცხებენ, მაგრამ არც თავად დამარცხდებიან, ისინი D ჯგუფში პირველ ადგილს მოიპოვებენ. გარდა ამისა, არის ასეთი მომენტიც: „ოლიმპიაკოსი“ შეჯიბრებას უკვე გამოთიშულია, „იუვეს“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი კი რამდენიმე ფეხბურთელის დასვენებას აპირებს. კერძოდ, ლიპი არ ათამაშებს ლილიან ტურამს, ჯანლუკა ძამბროტას, პაველ ნედვედს და ალესანდრო დელ პიეროს. სამაგიეროდ, მოედანზე იქნებიან ანტონიო კონტე და დავიდ ტრეზეგე, რომელიც გასულ შაბათს, „ლაციოსთან“ შეხვედრაში ისეთი უსახური იყო, რომ აშკარად საქმის გამოსწორება უნდა სცადოს.

დისკვალიფიკაცია გაუვიდა ბერძენთა კაპიტან პრედრაგ ჯორჯევიჩს, ხოლო მეკარე დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ევროთასის შეხვედრაში პირველად გავა მოედანზე.

„იუვენტუსის“ მსგავსად ფრე სჭირდება ბასკურ „რეალ სოსიედადსაც“. ქულის მოპოვების შემთხვევაში სან სებასტიანის გუნდიც მერვედფინალისტთა შორის აღმოჩნდება, ოღონდ ესპანეთის პირველობის ბოლო ტურში „ბეტისთან“ შინ 0:4 დამარცხება რას ნიშნავდა, ნება მოგვეცით, უპასუხოდ დავტოვოთ. გარდა ამისა, ბასკები ფორვარდის, დარკო კოვაჩევიჩის გარეშე უმასპინძლებენ „გალათასარაის“. დაშავებულია ხავი დე პედრო, ასე რომ, თურქ ნიჰატ კაჰვეჩისთან ერთად თავდასხმაში ოსკარ დე პაულა ითამაშებს. „რეალ სოსიედადზე“ კიდევ იმის თქმა შეიძლება, რომ მეკარე სანდერ ვესტერფელდი კოჭნატკენია და შეძლებს თამაშს თუ ვერა, კაცმა არ იცის.

„გალათასარაის“ მწვრთნელის, ფაიიჰ თერიმის გადაწყვეტილებით კი, იგი იმავე შემადგენლობით ითამაშებს, რომლითაც შაბათს შინ „ისთანბულსფორთან“ 1:3 წააგო. თურქებს ბასკეთში გამარჯვება სჭირდებათ.

**პაპუნა ძედია**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**იუვენტუსი — ოლიმპიაკოსი**

**იუვენტუსი:** კიმენტი, ბილინდელი, იულიანო, მონტერო, პესოტო, ზალაიეტა, კონტე, ტუდორი, მარესკა, ტრეზეგე, მიკოლი

**ოლიმპიაკოსი:** ელეფთეროპულოსი, მავროგენიდისი, კოსტულასი, ანატოლაკისი, კაფესი, კარამბუ, პ. ჯორჯევიჩი, პანტოსი, გეორგიადისი, ჯოვანი, კასტილიო

მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)

**სოსიედადი — გალათასარაი**

**სოსიედადი:** ვესტერფელდი (ან ალბერტო), კვარმე, არანსაბალი (ან პოტილიონი), შურერი, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, გაბილონდო, კარპინი, ალკისა, ნიჰათი, დე პაულა

**გალათასარაი:** მონდრაგონი, პრატესი, ბიულენთი, ფ. დე ბური, ორჰანი, საბრი, პეტრე, ერგუნი, ჰასან შაში, ჰაქან შუქური, გიოქთანი

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 10 |
| სოსიედადი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:7 | 8 |
| გალათასარაი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:6 | 4 |

*„იუვენტუსი“ გავიდა მერვედფინალში*

*ამ შაბათის „ელ კლასიკოს“ ესპანური სპორტული მედია ფართოდ გამოეხმაურა მიუხედავად იმისა, რომ 6 დეკემბრის მატჩი დიდი ბრწყინვალებით არ გამოირჩეოდა და სახელგანთქმული კატალონიურ-კასტილიური დერბისთვის ვინძლო, ოდნავ შეუფერებელიც კი გახლდათ. თუმცა პირინეული ჟურნალ-გაზეთები უახლოესი 3-4 დღის განმავლობაში ოდენ „ბარსა“ — „რეალის“ ამსახველი სიუჟეტებით იქნება აჭრელებული. ბოლოს და ბოლოს, სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, პრიმერადივიზიონის უმძაფრესი ჯახი სათანადო პატივისცემას მარტო დიდებული ისტორიის გამო იმსახურებს*

# კლასიკური ტანგო
## ბარსამ შიშთან წააგო

დავიწყოთ „სპორტით“. ეს კატალონიური გაზეთი „ბარსელონას“ მხარდამჭერი და ჭირისუფალია, თუმცა სადაც საქმეს სჭირდება, საყვარელი გუნდის მისამართით მკაცრი შენიშვნების გამოთქმასაც არ ერიდება. 7 დეკემბრის საკვირაო ნომერიც „კამპ ნოუს“ უიღბლო ომის შესახებ მჭერმეტყველი თავფურცლით ლალადებდა. „წაგება შიშთან“ — ასე შეაფასეს იქაურმა კორესპონდენტებმა ფრანკ რაიკარდის მარცხიანი სამწვრთნელო სტრატეგია.

კატალონიელი დამაშვრალნი ჰოლანდიელ დამრიგებელს დაუნდობლად აკრიტიკებენ — *„ბარსა“ კოშმარულ სიტუაციაში იმყოფება. შეხედეთ წლევანდელ საპრიმერო სტატისტიკას და დარწმუნდებით, რომ ჩვენი გუნდი მეტოქის საჯარიმოს ოდენ დასაზვერად სტუმრობს. 15 შეხვედრაში მხოლოდ 19 გოლი — ეს უბრალოდ საშინელებაა. ბოლო 31 წლის ანტირეკორდი (1971-72, 14 ბურთი) გაჭირვებით დავძლიეთ. რაიკარდსა და მის ბიჭებს სერიოზულად მოუწევთ „ბარსელონას“ მომავალზე დაფიქრება!“* — წერს ხავიერ როდრიგეს მარსო. იმავე გაზეთი სევდიანად აღნიშნავს, რომ კატალონიურმა გრანდმა სეზონის სამი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა („რეალთან“ 1:2, „დეპორთან“ 0:2 და „ვალენსიასთან“ 0:1) წააგო და ამით სატურნირო მდგომარეობა უკიდურესად გაირთულა, თუმცა კასტილიელებთან ბოლო შერკინებაში უბედობაზეც დაიჩივლა. *„ბარსელონას“ მეორე ტაიმში მოგება თუ არა, ანგარიშის გათანაბრება მაინც ეკუთვნოდა. „რეალი“ იღბალმა და კასილიასის მტკიცე თამაშმა გადაარჩინა“* — ნათქვამია „სპორტის“ ერთ-ერთ სტატიაში.

„ელ მუნდო დეპორტივო“: ბარსელონელთა სპორტული საქმიანობის რიგით მეორე ჟამთაალმწერელი თავისი უფროსი ძმისგან (ესე იგი, „სპორტისგან“) დიდი დერბის საბოლოო შედეგის მიმართ შეურიგებლობით გამოირჩევა.

*„კამპ ნოუს“ შეხვედრა უსამართლოდ დამთავრდა. „რეალს“ კატალონიაში საპრიმერო მატჩი ბოლო 20 წელი არ მოეგო და თამაშის ბედიც „ბარსას“ მცველების ორმა დასანანმა შეცდომამ და სტუმართა მეკარე იკერ კასილიასის ფანტასტიკურმა თამაშმა გადაწყვიტა. მასპინძლებს მეორე ნახევარში ანგარიში აუცილებლად უნდა გაეთანაბრებინათ. ულიმღამო პირველი ტაიმისგან განსხვავებით, რაიკარდის გუნდი მეტოქეზე ბევრად კარგად გამოიყურებოდა“.*

შეგვიძლია, „სპორტული სამყაროს“ (MUNDO DEPORTIVO) ფურცლებზე წაგებული მწვრთნელის მოსაზრებებსაც გავეცნოთ. *„მოთამაშეებს თავი არ დაუზოგავთ და სავოლე ეპიზოდებიც „რეალზე“ მეტი შევქმენით. ამგვარი ფორმით დამარცხება ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე ასატანია“* — ამბობს ფრანკ რაიკარდი. იქვე კარლუშ კეიროში გამარჯვების სიხარულს გაუბრწყინებია: *„რეალმა“ „ელ კლასიკოში“ დამაჯერებლად გაიმარჯვა. მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონა“ მეორე ტაიმში ძლიერად გვიტევდა, ჩვენები არ დაბნეულან, მეტოქეს კონტრიერიშებით უპასუხეს და ამან გაამართლა კიდეც. დერბი სწორედ ისე დასრულდა, როგორც უნდა დასრულებულიყო“.*

ახლა კასტილიურ-მადრიდულ სივრცეშიც გადავინაცვლოთ. „მარკამ“ მადრიდის „რეალის“ მეხოტბეთა ამქარს საგულისხმო პირველი გვერდი შესთავაზა, სადაც რონალდო „კამპ ნოუს“ მინდორზე წაქცეულ ბარსელონელ ფეხბურთელს თავზე დასცქერის. ფოტო შემდეგი სათაურითაა შემკული: „ბარსა“ დაემხო. რაც შეეხება საგაზეთო სტატიებს, აქ აქცენტი ძირითადად ოცწლიანი ნაცრისფერი ტრადიციის დამსხვრევაზეა გადატანილი. ამიტომაც მრავლად შეგხვდებათ ისეთი ფრაზები, როგორიცაა მაგალითად: „1983 წლის შემდეგ „რეალმა“ „კამპ ნოუზე“ საპრიმერო ფიესტა პირველად აღნიშნა...“

კასტილიური მედიის მოწინავე „ასი“ კი... ტანგოს ცეკვავს. არა, იუმორი ან უცნაური რამ შეცდომა აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, გუშინდელი გაზეთის საინტერნეტო გვერდს მავანი მადრიდელის აღტაცებული შეძახილი ამშვენებს: „EL MADRID SE BAILO UN TANGO EN EL CAMP NOU“ — რაც სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება: მადრიდმა „კამპ ნოუზე“ ტანგო იცეკვა!

**ლადო ხომერიკი**



# კასილიასმა რეალს ჯადო ახსნა
## ხერარდის დარტყმა სასიკვდილო იყო

*იკერ კასილიასი „ბარსა“ — „რეალის“ წლევანდელი დერბის ერთ-ერთი მთავარმონაწილეა. მისი ჩაუქი ბურთაობის წყალობით კატალონიური გრანდის მოიერიშეებმა კასტილიელთა დამწუხრება მარტო ერთი, პატრიკ კლუივერტის კენტი გოლით შეძლეს. მსოფლიოს საუკეთესო მეკარეობაზე მეოცნებე „რეალის“ გოლკიპერს მადრიდული „ასი“ ესაუბრა.*



**— შესანიშნავად ითამაშა მადრიდის „რეალმა“. თითქოს ერთი ჯადოსნური ჯოხის აქნევით გაქრა ის უიღბლო 20 წელი, რომელთა განმავლობაში სამეფო გუნდი ბარსელონაში ვერ ხეირობდა...**

— მიხარია, რომ ასე მოხდა. მთელი კლუბი, თითოეული ფეხბურთელი მზად ვიყავით, ნავსიანი ეპოქისთვის ბოლო რაც შეიძლება მალე მოგვეღო. ხუმრობა ხომ არ არის — „რეალს“ 1983 წლის შემდეგ კატალონიაში საპრიმერო მატჩი არ მოეგო. თუმც ეს ყველაფერი უკვე ისტორიას მივაბარეთ. გულწრფელად ვაღიარებ — „ბარსასთან“ თამაშსა და გამარჯვებას მოუთმენლად ველოდით.

**— უცნაურად ხომ არ მოგეჩვენათ სხვა დროს ბობოქარი „კამპ ნოუს“ ასეთი უჩვეულო სიწყნარე?**

— არაფერი უცნაური არ ყოფილა. „ელ კლასიკოს“ დაწყებამდე მთელი კატალონია და მადრიდი მხოლოდ 6 დეკემბრის თამაშის უსაფრთხოებაზე ზრუნავდა. პრესაც, ადრინდელთან შედარებით, ზედმიწევნით კორექტული იყო და ინჩასები არეულობისკენ არ წაუქეზებია. საბედნიეროდ, „ფიგუს ფაქტორიც“ დავიწყებას მიეცა. 3 წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა, რომ გულშემატკივრებს მისი „ბერნაბეუზე“ გადასვლა გულიდან ამოეგდოთ.

**— შაბათს „ბარსელონას“ ნაცვლად თითქოს სულ სხვა გუნდს ერკინებოდით. გინახავთ, რაიკარდის შეგირდები საკუთარ სარბიელზე ასე შეშინებულები გამოსულიყვნენ?**

— იშვიათად. თუმცა უფრო მართალი იქნება თუ ვიტყვი, რომ არ მინახავს. ალბათ, პასუხი ჩვენი გუნდის სიძლიერეში უნდა ვეძებოთ. თანაც რობერტო კარლოსის საშინელმა დარტყმამ პრაქტიკულად მეტოქის ფეხბურთელებს ურთულესი თავსატეხი გაუჩინა, რომლის ამოხსნაც მათ ვერ შეძლეს.

**— მაგრამ გვარიანად სცადეს კი და რომ არა თქვენ, ჩემი აზრით, ვერავითარი თავსატეხი იმათ წინ ვერ დაუდგებოდათ. ხავის მზაკვრული დარტყმა როგორ მოიგერიეთ?**

— ხავის კარგა ხანია ვიცნობ და ვიცი, საჯარიმოებს როგორ ასრულებს. საბედნიეროდ, ბურთი მძლავრად არ მოფრინავდა და მარჯვენა ხელით მისი უკუგდება შევძელი.

**— შემდეგ ოვერმარსის ცაცია გასროლა განაღმეთ...**

— ვფიქრობ, აქ რეფლექსმა უფრო იმოქმედა, ვიდრე წინასწარგანზრახულმა ნახტომმა.

**— მესამე და უკანასკნელი — ხერარდი. ბარსელი ნახევარმცველი კლუივერტის საპასუხო ბურთიდან მხოლოდ 30 წამში „გეწვიათ“. იმ ეპიზოდში თუ გაგიელვათ გონებაში, რომ შეიძლებოდა ხერარდის გოლს „რეალის“ დამარცხებაც მოჰყოლოდა?**

— ამდენი ხნის შრომა-გარჯის ერთ წუთში დაკარგვა? არავითარ შემთხვევაში! დავინახე, როგორ გამოექანა ხერარდი ჩემსკენ და ბურთსაც საკმაოდ ძლიერად დაჰკრა. უყოყმანოდ შევეგებე, რადგან ამ დროს თუ შენს შესაძლებლობებში დაეჭვდი, გოლს ვერ გადაურჩები. მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დასრულდა.

**— თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კატალონიელმა შემდეგ სახეში ფეხი ჩაგარტყათ. ქომაგებმა ასეთი გაბრაზებული კასილიასი პირველად იხილეს...**

— სასწაულით გადავრჩი, ხომ შეიძლებოდა, ამ აგრესიულ შემოტევას სულ სხვა შედეგი მოჰყოლოდა? თუმცა „ელ კლასიკოს“ დასრულებისთანავე ერთმანეთში ვისაუბრეთ, საქმეც გავარკვიეთ და ახლა ხერარდისადმი არავითარი პრეტენზიები არ მაქვს. საერთოდ, მოდით, ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ.

**— მაშინ ისევ ის დიდებული გამარჯვება გავიხსენოთ...**

— „რეალს“ ოცწლიანი „ჯადო“ ავხსენით. მე პირადად კი ამჟამად მხოლოდ 22-ის ვარ. მერწმუნეთ, ღირს „რეალის“ ფეხბურთელობა ჩვენებური ინჩასების „ბარსას“ ძლევით გამოწვეული ბედნიერება რომ შეიგრძნოთ. „ბარახას“ აეროპორტში არნახული დახვედრა მოგვიწყვეს. ჭეშმარიტად დიდი დერბის ჟამს არა აქვს მნიშვნელობა ერთი ან მეორე გუნდის სატურნირო ადგილს, აქ მთავარი თავად „ელ კლასიკოა“.

**— „კამპ ნოუს“ კარში უცნაური მაისურით იდექით. რატომ თქვით უარი ტრადიციულ ფერებზე?**

— ეს იმ თამაშის არბიტრს ჰკითხეთ. კარმონა მენდესმა მითხრა, ვალდესს და შენ ერთნაირი ფორმა გაცვიათ და უმჯობესი იქნება, რომელიმე მაისურს თუ შეიცვლითო. ნაღდად არ მესმის მსაჯის შეშფოთების მიზეზი — რა, მე და ვიქტორი მინდორზე ასე ხშირად ვებრძოდით ბურთისთვის ერთმანეთს, რომ თანაგუნდელებს ჩვენი გარჩევა ვერ მოეხერხებინათ? მენდესის გადაწყვეტილებამ ფრიად გამაკვირვა.

**— რაიმე ცრურწმენაზე ხომ არ გიფიქრიათ?**

— რა ცრურწმენები? ბურთს მეკარე იჭერს და არა მისი ტრუსმაისურის ფერი. ყოველგვარი ცრურწმენებიდან თავისუფალი ვარ.

**— სამოციანი წლების „რეალის“ გოლკიპერმა ვისენტემ გირჩიათ ბურთის მუშტებით მოგერიებაზე განსაკუთრებით მიგექციათ ყურადღება. ამ მხრივ კატალონიურ სტადიონზე უდავოდ საუკეთესოდ გამოიყურებოდით...**

— ყველა რჩევა-დარიგებას, თუ, რა თქმა უნდა, ისინი მართებულია, გულდასმით ვუსმენ და პრაქტიკაში ვახორციელებ. ბოლო პერიოდში გუნდის ვარჯიშებზე მართლაც ბეჯითად ვხვეწ მოგერიების ტექნიკას. „მკვდარი“ ბურთის დაჭერას, ბუნებრივია, მისი შორს გადაგდება სჯობს.

**— ზოგიერთები თქვენ „რეალის“ ყველა დროის საუკეთესო მეკარედ მოგიხსენიებენ...**

— თუ ღმერთი გწამთ! ზამორა, მეტანკური, არაკისტაინი, ვისენტე, რამონი, მიგელ ანხელი, ილგნერი, ბუიო... მე ჯერ მხოლოდ ვსწავლობ.

**— მაშინ ოდნავ შევცვლით შეკითხვას. ხართ თქვენ ევროპის საუკეთესო მეკარე?**

— ერთ რაღაცას გეტყვით, მართალია, იკერ კასილიასი გამობრძმედილი ვეტერანი არა, მაგრამ არც 18 წლის ყმაწვილია. „რეალის“ შემადგენლობაში უამრავი რამ ვნახე, კარგიც და ცუდიც, რაც მომავალში ჩემი ჩანაფიქრის სინამდვილედ ქცევაში დამეხმარება. იმ ჩანაფიქრსაც არ დაგიმალავთ — მსოფლიოს საუკეთესო გოლკიპერობა, სამი ან ოთხი სეზონის შემდეგ.

**— არც ისე შორეულია მიზანია. მაგალითად, წლეულს „ოქროს ბურთის“ კანდიდატად დაგასახელეს...**

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ეს ჩემთვის რას ნიშნავს. ვიცი, ამ ტიტულს ვერ მოვიპოვებ, მაგრამ ევროპის 50 საუკეთესოს შორის ყოფნა და ისიც 22 წლის ასაკში... გამოდის, ახალგაზრდა მეკარის ოცნებები მთლად საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

**— ვინ გახდება „ოქროს ბურთის“ მფლობელი — ზიდანი, რონალდო თუ ანრი?**

— ზიზუც და რონიც კონტინენტის უძლიერესი ფეხბურთელის წოდებას სავსებით იმსახურებენ. ისე, მეგობრებს შორის არჩევანს ვერ გავაკეთებ, მაგრამ სანაძლეოს კი ზიდანის მოგებაზე დავდებდი. იგი გენიოსია, ჩვენი დროის უდიდესი მობურთალი.

**— მადრიდული გუნდის გასაჭირზე, ცენტრალური მცველის შესახებაც ვისაუბროთ. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, კიდევ ერთ უკანახაზელს შეიძენდით?**

— არა.

— რატომ?

— პავონს და რაულ ბრავოს რაღა ვუყოთ? მშვენივრად ვგრძნობ თავს, როცა ისინი ჩემს საჯარიმოს იცავენ. 15 შეხვედრაში „რეალმა“ მხოლოდ 16 ბურთი გაუშვა. მგონი, ეს ციფრი მცველთა სისუსტეზე არ მეტყველებს.



გორდონ ტეილორი

# აურზაური არაფრისგან

## რიო ფერდინანდი პროფკავშირმა დაიცვა

*რიო ფერდინანდის ამბავი იმით გრძელდება, რომ ფეხბურთელის მხარდასაჭერად ხმა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის შეფმა, გორდონ ტეილორმაც ამოიღო. მას მერე, რაც 25 წუთის ამბავი გახდა ცნობილი, საზოგადოების სიმპათია აშკარად ფერდინანდისკენ გადაიხარა.*




რიო ფერდინანდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სარბიელის" მკითხველისთვის კარგად არის ცნობილი რა და როგორ, თუმცა გავიმეოროთ: 25 წლის მცველი „მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრიდან ქალაქში იყო გასული და მაღაზიაში რაღაცეებს ყიდულობდა, როდესაც გაახსენდა, რომ ოფისში მისული ლაბორანტებისთვის დოპინგ-ტესტზე გასატარებლად სინჯი უნდა ჩაებარებინა და დარეკა. ეს შუადღის სამის ორ წუთზე მოხდა. მას უთხრეს, რომ დაიგვიანა, არადა, როგორც გაირკვა, ლაბორანტებმა ოფისი სამის ოცდაშვიდ წუთზე დატოვეს...

„ეს ამბავი უკვე ადასტურებს, რომ საქმის გარჩევა საერთოდ არ უნდა გაიმართოს" — ამტკიცებს ვექილი საიმონ ტრეისი, რომელიც ფირმა „დევენპორტ ლაიონზის" წარმომადგენელია და ინგლისის პრემიერლიგის გარდა იტალიური და ესპანური კლუბების სამართლებრივ საქმეებსაც აგვარებს. ტრეისი მიგვანიშნებს, რომ ფერდინანდს იმ 25 წუთშიც შეეძლო ლაბორანტების მისწრება, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, დოპინგ-მაკონტროლებლებს არანაირი კანონი არ ზღუდავს და არ ავალდებულებს რალაც დროის შემდეგ ადგილიდან აბარგებას. ერთი სიტყვით, მათ შეეძლოთ ფერდინანდს დალოდებოდნენ.

„ფეხბურთის ასოციაცია მკაფიო პასუხებს ვერ იძლევა, არადა, ჩემზე რომ იყოს, სანამ ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ სერიოზულ არგუმენტს არ მოიყვანენ, საქმის გარჩევას სულ გავაჩერებდი" — ამბობს ვექილი.

ლაბორანტები რომ ფეხბურთელს უნდა დალოდებოდნენ, ამას ზემოხსენებული ტეილორიც ამტკიცებს.

„არაფრის მიჩუმათება და მიჩქმალვა არ გვინდა, აქ უბრალოდ ყველაფერი ცხადია — ლაბორანტები უნდა დარჩენილიყვნენ. იმისთვის, რომ რიოს სინჯი იმ დღეს ჩაებარებინა, არაფერი გაკეთებულა. ფეხბურთელი დაბრუნებას აპირებდა, მათ კი უარი უთხრეს და ოფისიდან წავიდნენ, რაც ძალიან ცუდია. ჩვენ რომ დაგვკავშირებოდნენ, დარჩენას და დალოდებას ვურჩევდით".

შეგახსენებთ, რომ ფერდინანდი ინგლისის ნაკრების უმნიშვნელოვანესი შეხვედრის წინ შეკრებიდან გამოიყვანეს (ეს გახლდათ ევრო 2004-ის პლეიოფის მატჩი სტამბოლში თურქეთთან) და შესაძლოა ორწლიანი დისკვალიფიკაციაც კი მიუსაჯონ.

64 წლის პეტ კრირანდი (მატ ბასბის, 60-იანი წლების ლეგენდარული „იუნაიტედის" წევრი):

„ბოლოხანს გახმაურებელი ამბავი ამტკიცებს, რომ რიოს არაფრის დამალვა არ უნდოდა, მას უბრალოდ დაავიწყდა, რომ ტესტირება ელოდა. შემდეგ მან სცადა დაბრუნება სინჯის ჩასაბარებლად, მაგრამ რატომღაც არ დაელოდნენ. ერთი სიტყვით, იგი ინგლისის ნაკრების თამაშს უკანონოდ ჩამოაცილეს. ამ საქმის შესახებ რაც მეტ ფაქტებს ვიგებ, მით მეტად ვრწმუნდები, რომ ფეხბურთის ასოციაციამ ჩვეულებრივი ამბიდან აურზაური შექმნა".

მაგრამ, არის ერთი გარემოება, კერძოდ ის, რომ საქმემ საერთაშორისო რეზონანსი მიიღო და მას ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი საკმაოდ მკაცრად გამოეხმაურა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბლატერი ფერდინანდის დასჯის მოითხრეა.

„რიო უკვე დასჯილია იმით, რაც მოხდა. ეჭვი არაა, იგი ნანობს ტესტი თავიდან რომ ამოუვარდა. ახლა ყველაფერი სწრაფად უნდა დასრულდეს" — დასძინა ტეილორმა.

**ბაპუნა ძედია**

---

*მსოფლიოს ოდინდელი საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანი 19 დეკემბერს ტურინში ჩავა და გამომძიებელს ჩვენებას მისცემს*

# რას გასმევდნენ ზიზუ ტურინში?

## ზიდანს სასამართლოში დოპინგზე დაკითხავენ





რაფაელო გარინიელო ზინედინ ზიდანს იტალიურ წარსულზე დაელაპარაკება

განსასჯელები ტურინის „იუვენტუსის" ორი თანამშრომელია, გენერალური მენეჯერი ანტონიო ჯირაუდო და ექიმი რიკარდო აგრიკოლა. მათ 1994-98 წლებში ფეხბურთელებისთვის აკრძალული პრეპარატების მიცემა ბრალდებათ. ზიდანი კი, მოგეხსენებათ, 1996-დან 2001 წლამდე სწორედ „იუვენტუსში თამაშობდა და ვინ იცის, აგრიკოლას მიწოდებული წამალი რამდენჯერ დაულევია.

საქმეს ტურინელი მაგისტრი რაფაელე გარინიელო შარშანდელი იანვრის მერე იძიებს. მან ფრანგულ „ლე მონდს" უთხრა: „ზიდანს გამოძიებაში ხელის შეწყობა ვთხოვე. მის გარდა სხვა ფეხბურთელებისგანაც მივიღებ ჩვენებას და იმედი მაქვს, ისინი სიმართლეს იტყვიან. ვფიქრობ, ფეხბურთელებს დასამალი არაფერი აქვთ, კლუბში თუ ვიღაცეები დანაშაულს ჩადიან, ეს ფეხბურთელების პრობლემა არ არის."

ეჭვი კი, რომ „იუვენტუსში" ფეხბურთელებს დოპინგით ჭყიპავენ, 2002 წლის ოქტომბერში გაჩნდა. მაშინ პადოვას უნივერსიტეტის ფარმაცევტმა ჯანმარტინო ბენტიმ თქვა, „იუვენტუსის" ხალხმა ჩვენგან 281 დასახელების წამლები იყიდეს და ეჭვი მაქვს, მათი შეზავებით, სულ მცირე, ხუთი ისეთი სტეროიდი მიიღეს, რომლის ორგანიზმში აღმოჩენაც ძალიან ძნელია და დოპინგის სიაშიც არ წერიაო.



მთავარი ეჭვმიტანილი ანტონიო ჯირაუდო

თუ ჯირაუდოს და აგრიკოლას დანაშაული დაუმტკიცდათ, ექვსიდან რვა თვემდე პატიმრობა ემუქრებათ.

**კოტე კეკელია**

---

# ქალი არ ვიყო...

## სახლი მიჰყიდა, სხეულს კი მუქთად უთმობს

## ვიქტორიამ დევიდი სამზარეულოში გამოკეტა

სამი თვე ეძებდნენ დევიდ და ვიქტორია ბექემები სახლს მადრიდში. ბოლოს, როგორც იქნა, დედაქალაქის ჩრდილოეთით, 18 კილომეტრის მოშორებით იპოვეს კიდეც მშვენიერი სახლი დიდი და მოვლილი ბაღით. ხელიც არ აჰკანკალებიათ, ისე გადაიხადეს 7 მილიონი დოლარი, შესახლდნენ, ტკბილად ცხოვრებაც დაიწყეს და ამ დროს...

სახლის ძველი პატრონი პოპულარული ტელე-შოუ „ლო პლუსის" არანაკლებ პოპულარული წამყვანი ანა გარსია სინერესი გამოდგა. ამ ქალბატონს კი სახელი იმითაც გაუთქვამს, რომ ნახევარ „რეალს" ლოგინში ჩაჰგორებია. ხოლო როცა „რეალში" ბექემიც გადავიდა, დაუქადნია, ქალი არ ვიყო, ეგეც ჩემი თანამესარეცლე თუ არ გახდესო. და უნდა ეს ყველაფერ ვიქტორიას? ბოროტი ენები აქამდეც ამბობდნენ, საცოდავია დევიდი ასეთი ეჭვიანი ცოლის ხელშიო და ახლა ხომ საერთოდ...

ვიქტორიას ქმრისთვის ერთი ამბავი აუტეხია, უთუოდ წინასწარ იცოდი ეგ ქალი რასაც გიპირებდა და რაკი მისი სახლი იყიდე, ამით თანხმობა უთხარიო.

ამბობენ, ამ ოჯახური სკანდალის მერე ვიქტორია ესპანელ მცველებს აღარ ენდობა და ორი კუბელი ჯეელი, ოდინდელი სპეცრაზმელი დაიქირავა სახლის, მეტადრე კი დევიდის სადარაჯოდო. ეს მცველები ადრე თურმე ჯეკ ნიკოლსონს და ლეონარდო დიკაპრიოს იცავდნენ.

ამ დროს კი დევიდი თურმე სამზარეულოში დგას და ჭურჭელს რეცხავს, ამით ცოლს ერთგულებას უმტკიცებს.

**კოტე კეკელია**





დევიდი ვიქტორიამ ანა გარსიას მოარიდა

# კაკა გვინდა... მილანსაც რომ უნდა?!

*ბრაზილიელებს იანვარში, ჩილეში, ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი აქვთ და ამ მატჩებში კაკას თამაში სურთ, მაგრამ იმასაც კარგად ხვდებიან, რომ „მილანთან" დიდი ჭიდაობა მოუწევთ*





დღეს ასეთი სურათია: 23-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა რიკარდო გომეშმა ტურნირზე წასაყვანი 17 ფეხბურთელის ვინაობა უკვე დაასახელა, სამი გრაფა კი ცარიელი დატოვა. იქ კაკას, „სევილიაში" მოთამაშე ჟულიო ბაპტისტას და კიდევ ერთი, ევროპაში მობურთალი ბიჭის ჩაწერა სურს.

„საერთოდ დიდი მოთმინებით არ გამოვირჩევი, მაგრამ კაკა და ჟულიო ბაპტისტა ის ხალხია, ვისი გულისთვისაც მოცდა ღირს" — თქვა გომეშმა.

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ნაკრებთა ზედამხედველის, ამერიკო ფარიას განცხადებით, „მილანთან" და „სევილიასთან" მოლაპარაკებები ჯერ მიმდინარეობს.

„საერთოდ, სანამ ფეხბურთელების ნაკრებებში გამოშვების წესებზე შევთანხმდებოდეთ, ევროპულ კლუბებთან ნებისმიერი მოლაპარაკება ძალიან ძნელად მიდის. ამ პრობლემას მხოლოდ საყოველთაოდ სავალდებულო კანონი თუ მოაგვარებს. ჩვენ, მაგალითად, 2004 წელს გვაქვს ოლიმპიური ტურნირი, მსოფლიოს ჩემპიონატის შვიდი შესარჩევი შეხვედრა, თავად ოლიმპიადა და კოპა ამერიკა. გამოდის, რომ ფეხბურთელმა, რომელიც თავის ქვეყანას ყველა ამ შეჯიბრებისთვის სჭირდება, სამი-ოთხი თვე კლუბისგან შორს უნდა გაატაროს, რაც ძალიან ძნელია და კლუბებისთვის სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს" — განმარტავს ფარია.

**ბაჩუნა ბეჟანიძე**

# ოქროს სანაგვის ლაურეატი

*მსოფლიოს ჩემპიონი რივალდო იტალიის რადიოს მსმენელთა აზრით 2003 წლის უარესი ფეხბურთელია. მეორე ადგილზეა ლიბიის ლიდერის, მოამარ კადაფის ვაჟი ალ-საადი კადაფი*



ჯილდოს, რომელსაც RAI-ს რადიოპროგრამა „კატერსპორტი" ანიჭებს, „ოქროს სანაგვე" ჰქვია. რეფერენდუმში მონაწილეობა 5 ათასმა ადამიანმა არ დაიზარა და მათმა 28 პროცენტმა უპირატესობა რივალდოს მიანიჭა. 21,5 პროცენტი ერგო პატარა კადაფის, რომელსაც „პერუჯაში" ბურთისთვის ფეხი არ გაუკრავს, ისე აღმოუჩინეს ორგანიზმში ნანდროლონი და დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. მესამე ადგილზეა კარსტენ იანკერი, „უდინეზეს" გერმანელი ფორვარდი, რომელმაც 17 თვეში მხოლოდ ორჯერ გაიტანა გოლი — მეორედ ახლა, ბოლო ტურში.

სხვებისა რა გითხრათ. ათეულში მოხვედრის პატივი ერგოთ „ინტერის" მცველს მარკო მატერაცის, „ლაციოს" პორტუგალიელ ნახევარმცველს სერჟიუ კონსეისაუს და მის თანაგუნდელს სინიშა მიხაილოვიჩს.

რივალდო კი ამასობაში შინ, პატარა ბრაზილიურ ქალაქ მოჟი მირიმშია, თავის შვილებს, რივალდინიოსა და თამირისს ეთამაშება და ჯერ არ ამბობს, სად აპირებს თამაშს. შეგახსენებთ, რომ რივალდოს „მილანში" კიდევ 18 თვე უნდა ეთამაშა, მაგრამ „შავწითლებმა" თავისუფლება უბოძეს.

**ბაჩუნა ბეჟანიძე**

# ბლოხინმა კლიმოვიჩის ფესვები მოიკითხა

## ვოლფსბურგის არგენტინელი უკრაინელი ყოფილა

უკრაინის ნაკრების მწვრთნელმა ოლეგ ბლოხინმა ტელეპროგრამა „გოლთან" ინტერვიუში თქვა, ეგებ გერმანული „ვოლფსბურგის" არგენტინელ ფორვარდ დიეგო კლიმოვიჩს ჩემი ნაკრების ყვითელი მაისურა ჩავაცვაო. საქმე ის არის, რომ კლიმოვიჩის გენეალოგიურ ხეს ძირამდე თუ ჩავყვებით, უკრაინულ ფესვებს აღმოვაჩენთ. ამბობენ, თავად კლიმოვიჩმა ადრე თქვა, სიამოვნებით ვითამაშებ უკრაინის ნაკრებშიო.

„კლიმოვიჩი ბუნდესლიგაში ბრწყინვალედ თამაშობს — განმარტა თავისი სურვილი ბლოხინმა — ასეთი ფეხბურთელის იგნორირება კი არაფრით შეიძლება."

სხვათა შორის, ბლოხინის წინამორბედმა ლეონიდ ბურიაკმა თავის დროზე შორს დაიჭირა კლიმოვიჩის მიწვევის პერსპექტივა, აქაოდა, უკრაინაში იმდენი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, უცხოეთიდან მათი იმპორტი არ გვჭირდებაო.

კლიმოვიჩმა ამ სეზონში ბუნდესლიგაში 14 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა. უკრაინა კი, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს მეტოქეა.

**ირაკლი ნინიძე**

## საფრანგეთი

**II დივიზიონი. XVIII ტური**

**ლე ავრი 3:2 შატორუ**

0:1 გეი (30), 1:1 ლეზაგი (34), 1:2 რუდე (36), 2:2 ბუნე (60), 3:2 სიდიბე (88ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტრი | 18 | 12 | 3 | 3 | 23:7 | 39 |
| ამიენი | 18 | 9 | 6 | 3 | 20:11 | 33 |
| ლორიანი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:18 | 31 |
| კაენი | 18 | 8 | 7 | 3 | 23:14 | 31 |
| ნიორი | 17 | 8 | 6 | 3 | 21:11 | 30 |
| სენტ ეტიენი | 17 | 9 | 2 | 6 | 17:14 | 29 |
| ლე ავრი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:17 | 27 |
| ნანსი | 18 | 6 | 8 | 4 | 22:17 | 26 |
| სედანი | 18 | 5 | 9 | 4 | 12:13 | 24 |
| ტრუა | 18 | 5 | 8 | 5 | 19:19 | 23 |
| შატორუ | 18 | 5 | 7 | 6 | 20:25 | 22 |
| კლერმონი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:28 | 22 |
| ვალანსი | 17 | 5 | 6 | 6 | 20:22 | 21 |
| კრეტეი | 18 | 4 | 8 | 6 | 18:20 | 20 |
| ანჟე | 18 | 4 | 7 | 7 | 17:22 | 19 |
| გენიონი | 18 | 3 | 8 | 7 | 16:23 | 17 |
| ლავალი | 18 | 3 | 7 | 8 | 21:30 | 16 |
| რუანი | 18 | 2 | 8 | 8 | 15:26 | 14 |
| გრენობლი | 17 | 1 | 9 | 7 | 11:17 | 12 |
| ბეზანსონი | 18 | 2 | 6 | 10 | 13:26 | 12 |

## გერმანია

**II ბუნდესლიგა. XV ტური**

**უნტერჰახინგი 1:1 მაინცი**

0:1 ტიურკი (18), 1:1 კოპადო (64)

**თასის 1/4 ფინალის წილისყრა**

მიონხენგლადბახი — დუისბურგი; ფიურტი — ვერდერი; ალემანია — ბაიერნი; ჰოფენჰაიმი — ლიუბეკი

*მატჩები გაიმართება 2004 წლის 3-4 თებერვალს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალემანია | 15 | 9 | 2 | 4 | 28:24 | 29 |
| მაინცი | 15 | 7 | 5 | 3 | 25:18 | 26 |
| ნიურნბერგი | 15 | 7 | 4 | 4 | 26:18 | 25 |
| კოტბუსი | 15 | 7 | 4 | 4 | 26:22 | 25 |
| ობერჰაუზენი | 15 | 6 | 5 | 4 | 24:18 | 23 |
| უნტერჰახინგი | 15 | 6 | 5 | 4 | 24:22 | 23 |
| ფიურტი | 15 | 5 | 6 | 4 | 27:22 | 21 |
| არმინია | 15 | 6 | 3 | 6 | 19:18 | 21 |
| დუისბურგი | 15 | 5 | 6 | 4 | 20:20 | 21 |
| კარლსრუე | 15 | 6 | 3 | 6 | 17:21 | 21 |
| ბურგჰაუზენი | 15 | 5 | 4 | 6 | 20:19 | 19 |
| რეგენსბურგი | 15 | 5 | 4 | 6 | 21:22 | 19 |
| ლიუბეკი | 15 | 4 | 6 | 5 | 26:25 | 18 |
| უნიონი | 15 | 4 | 4 | 7 | 15:18 | 16 |
| ოსნაბრიუკი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:23 | 16 |
| ალენი | 15 | 5 | 1 | 9 | 18:27 | 16 |
| აუე | 15 | 3 | 6 | 6 | 16:19 | 15 |
| ტრირი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:30 | 13 |

## ინგლისი

**I დივიზიონი. XXII ტური**

**ქოვენთრი 1:1 სანდერლენდი**

0:1 დოუნინგი (8), 1:1 მაკალისტერი (22პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 12 | 5 | 4 | 32:18 | 41 |
| ნორვიჩი | 22 | 11 | 7 | 4 | 30:20 | 40 |
| იფსვიჩი | 22 | 11 | 5 | 6 | 43:32 | 38 |
| შეფილდი | 21 | 11 | 4 | 6 | 33:24 | 37 |
| რედინგი | 22 | 11 | 4 | 7 | 29:23 | 37 |
| სანდერლენდი | 22 | 9 | 8 | 5 | 25:18 | 35 |
| უიგანი | 22 | 9 | 8 | 5 | 29:23 | 35 |
| კარდიფი | 21 | 9 | 7 | 5 | 37:23 | 34 |
| ვესტ ჰემი | 21 | 8 | 10 | 3 | 28:17 | 34 |
| პრესტონი | 21 | 9 | 4 | 8 | 30:24 | 31 |
| მილუოლი | 22 | 7 | 8 | 7 | 24:23 | 29 |
| ნოტინგემი | 22 | 7 | 7 | 8 | 34:31 | 28 |
| ქრიუ | 21 | 8 | 4 | 9 | 22:25 | 28 |
| ბარნსლი | 22 | 7 | 7 | 8 | 32:36 | 28 |
| უოლსოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:23 | 27 |
| ჯილინგემი | 22 | 7 | 6 | 9 | 28:35 | 27 |
| ქოვენთრი | 22 | 5 | 11 | 6 | 27:29 | 26 |
| როტერჰემი | 22 | 6 | 8 | 8 | 20:29 | 26 |
| უოტფორდი | 22 | 6 | 7 | 9 | 23:27 | 25 |
| კრ. პალასი | 21 | 5 | 7 | 9 | 24:35 | 22 |
| დერბი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:36 | 22 |
| სტოკი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:32 | 20 |
| ბრედფორდი | 21 | 4 | 5 | 12 | 19:32 | 17 |
| უიმბლდონი | 22 | 4 | 2 | 16 | 23:49 | 14 |

## სერბეთი

**პრვა ლიგა. XIV ტური**

კომი — ბორაცი 3:3; ვოივოდინა — ცრვენა ზვეზდა 0:2; ოფკ — ზემუნი 1:0; სუტიესკა — რადნიჩკი 0:0; პარტიზანი — ბუდუჩნოსტი 3:0; სარტიდი — ზეტა 0:0; ობილიჩი — ჟელეზნიკი 0:1; ნაპრედაკი — ჰაიდუკი 0:2

## ხორვატია

**I ლიგა. XVII ტური**

ინტერი — ზადარი 0:2; ზაგრები — ვარტექსი 1:1; სლავენი — მარსონია 3:1; ოსიეკი — რიეკა 2:3; კამენი — ციბალია 3:2; ჰაიდუკი — დინამო 3:1

## პორტუგალია

**სუპერლიგა. [illegible]**

**ბეირა მარი 2:0 ბელენენსეში**

1:0 ჟინმარდი (78), 2:0 რუი დოლორეში (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 12 | 5 | 4 | 32:18 | 41 |
| ნორვიჩი | 22 | 11 | 7 | 4 | 30:20 | 40 |
| იფსვიჩი | 22 | 11 | 5 | 6 | 43:32 | 38 |
| შეფილდი | 21 | 11 | 4 | 6 | 33:24 | 37 |
| რედინგი | 22 | 11 | 4 | 7 | 29:23 | 37 |
| სანდერლენდი | 22 | 9 | 8 | 5 | 25:18 | 35 |
| უიგანი | 22 | 9 | 8 | 5 | 29:23 | 35 |
| კარდიფი | 21 | 9 | 7 | 5 | 37:23 | 34 |
| ვესტ ჰემი | 21 | 8 | 10 | 3 | 28:17 | 34 |
| პრესტონი | 21 | 9 | 4 | 8 | 30:24 | 31 |
| მილუოლი | 22 | 7 | 8 | 7 | 24:23 | 29 |
| ნოტინგემი | 22 | 7 | 7 | 8 | 34:31 | 28 |
| ქრიუ | 21 | 8 | 4 | 9 | 22:25 | 28 |
| ბარნლი | 22 | 7 | 7 | 8 | 32:36 | 28 |
| უოლსოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:23 | 27 |
| ჯილინგემი | 22 | 7 | 6 | 9 | 28:35 | 27 |
| ქოვენთრი | 22 | 5 | 11 | 6 | 27:29 | 26 |
| როტერჰემი | 22 | 6 | 8 | 8 | 20:29 | 26 |
| უოტფორდი | 22 | 6 | 7 | 9 | 23:27 | 25 |
| კრ. პალასი | 21 | 5 | 7 | 9 | 24:35 | 22 |
| დერბი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:36 | 22 |
| სტოკი | 21 | 5 | 5 | 11 | 24:32 | 20 |
| ბრედფორდი | 21 | 4 | 5 | 12 | 19:32 | 17 |
| უიმბლდონი | 22 | 4 | 2 | 16 | 23:49 | 14 |

## ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა. XX ტური**

ზალცბურგი — აუსტრია 0:1; რაპიდი — შტურმი 1:1; ადმირა — მატერსბურგი 2:0; გრაცერი — კერნტენი 4:1; პაშინგი — ბრეგენცი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აუსტრია | 20 | 12 | 5 | 3 | 37:15 | 41 |
| რაპიდი | 20 | 11 | 5 | 4 | 35:26 | 38 |
| გრაცერი | 20 | 11 | 4 | 5 | 32:20 | 37 |
| პაშინგი | 20 | 9 | 4 | 7 | 34:30 | 31 |
| ბრეგენცი | 20 | 9 | 4 | 7 | 30:32 | 31 |
| ადმირა | 20 | 7 | 4 | 9 | 26:28 | 25 |
| მატერსბურგი | 20 | 5 | 7 | 8 | 21:31 | 22 |
| ზალცბურგი | 20 | 6 | 2 | 12 | 27:25 | 20 |
| შტურმი | 20 | 4 | 6 | 10 | 20:29 | 18 |
| კერნტენი | 20 | 3 | 5 | 12 | 16:42 | 14 |

## დანია

**სუპერლიგა. XIX ტური**

ნორდსიელანდი — ორჰუსი 1:3; ესბიერგი — ოდენსე 3:3; კოპენჰაგენი — აკადემისკი 3:1; მიდტიულანდი — ფრემი 3:3; ჰერფიოლგე — ვიბორგი 0:1; ოლბორგი — ბრონდბიუ 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 19 | 14 | 4 | 1 | 35:13 | 46 |
| ესბიერგი | 19 | 12 | 4 | 3 | 36:19 | 40 |
| კოპენჰაგენი | 19 | 10 | 6 | 3 | 30:16 | 36 |
| ოდენსე | 19 | 10 | 5 | 4 | 40:28 | 35 |
| ოლბორგი | 19 | 8 | 6 | 5 | 28:24 | 30 |
| ორჰუსი | 19 | 8 | 2 | 9 | 31:40 | 26 |
| მიდტიულანდი | 19 | 6 | 5 | 8 | 33:30 | 23 |
| ვიბორგი | 19 | 5 | 6 | 8 | 30:29 | 21 |
| ჰერფიოლგე | 19 | 5 | 5 | 9 | 21:26 | 20 |
| ნორდსიელანდი | 19 | 4 | 6 | 9 | 24:35 | 18 |
| ფრემი | 19 | 3 | 3 | 13 | 19:38 | 12 |
| აკადემისკი | 19 | 2 | 2 | 15 | 15:44 | 8 |

## საბერძნეთი

**ეროვნული ლიგა XIII ტური**

კალითეა — ოფი 1:2; იონიკოსი — პანილიაკოსი 4:2; აეკ — ქსანთი 3:0; ირაკლისი — პროდეფტიკი 2:1; ეგალეო — არისი 3:1; პაოკ — პანიონიოსი 2:0; აკრატიტოსი — პანათინაიკოსი 0:0; ოლიმპიაკოსი — ხალკიდონა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 13 | 10 | 2 | 1 | 29:8 | 32 |
| პანათინაიკოსი | 13 | 8 | 4 | 1 | 21:7 | 28 |
| ეგალეო | 13 | 8 | 3 | 2 | 17:8 | 27 |
| პაოკ | 13 | 8 | 2 | 3 | 20:12 | 26 |
| აეკ | 13 | 7 | 3 | 3 | 29:14 | 24 |
| ოფი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:22 | 18 |
| ხალკიდონა | 13 | 4 | 5 | 4 | 15:16 | 17 |
| ირაკლისი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:16 | 16 |
| პანიონიოსი | 13 | 3 | 6 | 4 | 14:17 | 15 |
| პანილიაკოსი | 13 | 3 | 5 | 5 | 19:21 | 14 |
| ქსანთი | 13 | 3 | 4 | 6 | 13:19 | 13 |
| იონიკოსი | 13 | 3 | 3 | 7 | 17:23 | 12 |
| არისი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:19 | 12 |
| კალითეა | 13 | 1 | 7 | 5 | 19:22 | 10 |
| პროდეფტიკი | 13 | 1 | 6 | 6 | 8:19 | 9 |
| აკრატიტოსი | 13 | 1 | 4 | 8 | 11:32 | 7 |

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა გადადებული მატჩი**

**შოპრონი 2:2 ბეკეშჩაბა**

## ბრაზილია

### სერია A. XLV ტური

ატლ. პარანენსე — ვასკუ და გამა 2:2; კორინთიანსი — პარანა 1:1; ვიტორია — ატლ. მინეირო 0:1; გოიასი — ფიგეირენსე 0:3; კრუზეირო — ფლუმინენსე 5:2; გუარანი — პაისანდუ 2:1; ფორტალეზა — კურიტიბა 2:2; ფლამენგო — პონტე პრეტა 1:1; კრისიუმა — ბაია 3:2; სანტოსი — გრემიო 2:2; ინტერნასიონალი — სან პაულუ 1:1; ჟუვენტუდე — სან კაეტანო 2:1

# მყრალი ბაია



კრუზეირო — ფლუმინენსე. ედუარდო ეკუერდინიას მასპინძელმა კლაუდიო მალდონადომ ბურთისკენ გზა ჩაუხერგა

ნაადრევად გაჩემპიონებულმა „კრუზეირომ“ შინ ზეიმი მოაწყო. ბელო ორიზონტეში „ფლუმინენსეს“ უმასპინძლა და მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმის შუაწელში როდოლფოსგან გოლი გაუშვა, მერე ხუთით უპასუხა.

მოტამ შესვენების შემდეგ მყისვე გაათანაბრა, ალექსის წყვილ გოლს მარსიო ნობრემაც მიამატა, ბოლოს კი მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონმა ზინიომ „ფლუს“ თავისი წილი გაუტანა.

სტუმრებს, რომლებიც სერია A-ში დასარჩენად იბრძვიან, თამაშის დროს რომარიო დაუშავდათ. მან კოჭლობით დატოვა მოედანი და ადგილი იადილსონს დაუთმო. ყმაწვილმა ფორვარდმა ანგარიშში სხვაობის სამამდე შემცირება შეძლო.

„ფლუმინენსე“ მომდევნო ტურში ქულას თუ მიითვლის, სერიაში ადგილს შეინარჩუნებს. რომარიოს მწვრთნელმა რენატო პორტალუპიმ ნამატჩევს თქვა: „ჩვენ გამოცდილება გვაკლია და ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი. უარესი ანგარიშითაც რომ წაგვეგო, არ გამიკვირდებოდა“.

„სანტოსი“ „გრემიოსთან“ ორჯერ აგებდა, საბოლოოდ კი მეტოქეს ოდენ ქულა გაატანა. სტუმრებისთვის ეს შედეგი ურიგო არ უნდა იყოს, რადგან ბოლოსწინა საფეხურს თავი დააღწიეს. „გრემიო“ კრისტიანის გოლით დაწინაურდა, მასპინძელმა ალექსმა კი პირველი ტაიმის მიწურულს გაქვითა. მეორე ნახევარში ბრუნომ კვლავ გრემიოელები აზეირა, თუმც დიეგუმ მალევე გაათანაბრა. შეხვედრის ბოლოს სანტოსელი რობინიო და მისი მეტოქე ფელიპე ბალოი გააძევეს წაკინკლავებისთვის.

ბრინჯაო „სან პაულუმ“ გაინაღდა მას შემდეგ, რაც უშუალო მდევარ „ინტერნასიონალს“ ეწვია და დაუზავდა. სტუმრები დიეგო ტარდელის წყალობით მე-16 წუთზე დაწინაურდნენ, დამხვდურთაგან კი სოდიმარმა მატჩის ბოლოს იხეირა.

სერია A-ში ადგილის დასაბევებლად მოფაფხურე „ფორტალეზამ“ „კურიტიბას“ ორგოლიანი სხვაობა გაუბათილა და ძვირფასი ქულა მოიპოვა. კურიტიბელები თავის მხრივ ხუთეულში შეღწევას ლამობენ „კოპა ლიბერტადორესზე“ გასასვლელად. ალექსანდრ ფავარომ ანგარიში გახსნა, მარსელმა შესვენების შემდეგ მიამატა, მაგრამ „ფორტალეზა“ არ გატყდა და შეხვედრის ბოლო 13 წუთში მეტოქის უპირატესობა გააქრო. მასპინძლებმა მეორე გოლი მსაჯის, ალვარო კელაშის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე შეაგდეს, როცა მუხლნატკენი კელაში მოედანზე გაჭირვებით დალასლასებდა.

ხუთეულში მოხვედრის შანსი სტუმრად „ვიტორიას“ ძლევით „ატლეტიკო მინეირომაც“ შეინარჩუნა. მასპინძლებს მეოცე წუთზე ჟუნალვო გაუძევეს და კაცნაკლულობის მიუხედავად, „ვიტორიამ“ თითქმის მთელი მატჩის მანძილზე კარი მშრალად შეინახა, მაგრამ ბოლო წუთებზე გაუშვა და დამარცხდა.

ცხრილის ქვესკნელისანი „ბაია“ „კრისიუმას“ სტუმრად ორჯერ უგებდა, თან ბაიელებს 23-ე წუთზე დანილო გაუგდეს. კრისიუმელებმა შეხვედრის სათავისოდ შებრუნება მოახერხეს და სამი ქულა წაიღეს, თუმც ეს ამბავი მშვიდობიანად არ დასრულებულა.

მატჩის დამთავრებისთანავე ხელჩართული ჩხუბი ატყდა და მეომრები ძლივს გააშველეს. დაკა-დაკა სტუმარი ლუის ალბერტოსგან მეტოქისთვის მუშტის დარტყმას მოჰყვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 45 | 30 | 7 | 8 | 95:47 | 97 |
| სანტოსი | 45 | 25 | 11 | 9 | 92:59 | 86 |
| სან პაულუ | 45 | 22 | 12 | 11 | 80:64 | 78 |
| ინტერნასიონალი | 45 | 20 | 10 | 15 | 59:52 | 72 |
| სან კაეტანო | 45 | 18 | 14 | 13 | 48:37 | 71 |
| კურიტიბა | 45 | 20 | 10 | 15 | 65:58 | 70 |
| ატლ. მინეირო | 45 | 18 | 15 | 12 | 73:60 | 69 |
| გოიასი | 45 | 18 | 11 | 16 | 76:60 | 65 |
| ფლამენგო | 45 | 17 | 12 | 16 | 63:72 | 63 |
| პარანა | 45 | 17 | 11 | 17 | 83:75 | 62 |
| ფიგეირენსე | 45 | 16 | 14 | 15 | 60:54 | 62 |
| გუარანი | 45 | 17 | 10 | 18 | 64:70 | 61 |
| ატლ. პარანენსე | 45 | 17 | 9 | 19 | 65:70 | 60 |
| კრისიუმა | 45 | 17 | 9 | 19 | 57:67 | 60 |
| კორინთიანსი | 45 | 15 | 12 | 18 | 61:60 | 59 |
| ვიტორია | 45 | 15 | 11 | 19 | 50:62 | 56 |
| ვასკუ და გამა | 45 | 13 | 14 | 18 | 56:68 | 53 |
| ჟუვენტუდე | 45 | 12 | 14 | 19 | 55:69 | 53 |
| ფორტალეზა | 45 | 12 | 13 | 20 | 58:72 | 49 |
| ფლუმინენსე | 45 | 12 | 11 | 22 | 51:77 | 49 |
| პაისანდუ | 45 | 15 | 11 | 19 | 72:75 | 48 |
| გრემიო | 45 | 12 | 11 | 22 | 51:68 | 47 |
| პონტე პრეტა | 45 | 10 | 18 | 17 | 61:73 | 47 |
| ბაია | 45 | 12 | 10 | 23 | 59:85 | 46 |

*„კრუზეირო“ ჩემპიონია*

*„სან კაეტანოს“ და „ჟუვენტუდეს“ დამატებული აქვთ 3-3 ქულა, „ინტერნასიონალს“, „კორინთიანსს“ და „ფლუმინენსეს“ — 2-2; „პონტე პრეტას“ დაკლებული აქვს 1 ქულა, „პაისანდუს“ — 8*

## არგენტინა

ინდეპენდიენტე — ატლეტიკო 2:1; არსენალი — რასინგი 0:0; სან ლორენსო — ველესი 4:1; ხიმნასია — როსარიო 1:2; ოლდ ბოიზი — ნუევა ჩიკაგო 1:1; კილმესი — ლანუსი 2:1; ოლიმპო — ჩაკარიტა 2:0; კოლონი — ბოკა ხუნიორსი 2:1; ბანფილდი — ესტუდიანტესი 2:1; რივერ პლეიტი — ტალიერესი 0:1

# ა. კაცი, აკოსტა!



კარიერის მიწურულს ალბერტო აკოსტამ მე-300 გოლი მიითვალა

„ბოკა ხუნიორსს“ რომ ვერავინ შეეცილებოდა აპერტურას ჩემპიონობას, სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე იყო გადაწყვეტილი. ამიტომაც რა გასაკვირია, რომ ბოკელებმა დიდი ბრძოლის გარეშე დაუთმეს ბოლო ტურის მატჩი „კოლონს“. ვადამდელი ჩემპიონობაც რომ არა, ამ უქმეებზე არგენტინის ჩემპიონს, რომელმაც წლეულს ლიბერტადორესის თასიც მოიგო, ტოკიოში „მილანთან“ ელის საკონტინენტთაშორისო თასისთვის ჭიდილი და მომქანცველი მგზავრობის წინ ზედმეტი გადაღლა არაფერში სჭირდებოდა.

ბოლო ტურიო, ვთქვით და განვმარტოთ, რომ ეს ტური ბოლო ოდენ ორი გუნდისთვის იყო, დანარჩენებს კი გადადებული მატჩები აქვთ გასამართი.

მეორე ადგილი გაინაღდა „სან ლორენსომ“, მაგრამ მისი ვეტერანი ფორვარდი ალბერტო აკოსტა გადადებული მატჩების ჩატარებას მაინც ელის — საქმე ის არის, რომ 10 გოლით ის ჯერჯერობით აპერტურას მთავარმეგოლეა და მდევართა საბოლოო მონაგარს ელოდება.

თუმცა აკოსტას წლევანდელი 10 გოლი არაფერია მის მთავარ მიღწევასთან შედარებით — 37 წლის ფეხბურთელს, რომლისთვისაც „ველეს სარსფილდთან“ ამ ტურის მატჩი კარიერაში ბოლო იყო, აქამდე 299 გოლი გაეტანა. ცხადია, გამოსათხოვარ შეხვედრაში მას მე-300 გოლის გატანის წყურვილი ჰკლავდა და როცა „ველესის“ კარში 75-ე წუთზე მსაჯმა პენალტი დანიშნა, რა მიხვედრა უნდა, ვინ მივიდა ბურთთან.

„პენალტის მეტი რა დამირტყამს, მაგრამ ასე არასდროს მინერვიულია. მუხლი მეკვეთებოდა. ვიცოდი, რომ ამ პენალტს თუ ვერ გავიტანდი, მე-300 გოლის გატანის მეტი შანსი აღარასდროს მექნებოდა“ — თქვა არგენტინის ნაკრებში 19 კეპის მომხვეჭმა აკოსტამ და პენალტი გაიტანა.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 19 | 11 | 6 | 2 | 31:11 | 39 |
| სან ლორენსო | 19 | 11 | 3 | 5 | 26:13 | 36 |
| ბანფილდი | 18 | 9 | 4 | 5 | 25:16 | 31 |
| კილმესი | 18 | 8 | 6 | 4 | 20:13 | 30 |
| როსარიო | 18 | 8 | 6 | 4 | 26:24 | 30 |
| ოლდ ბოიზი | 18 | 7 | 8 | 3 | 25:16 | 29 |
| ჩაკარიტა | 18 | 5 | 8 | 5 | 18:17 | 23 |
| არსენალი | 18 | 5 | 8 | 5 | 17:16 | 23 |
| კოლონი | 18 | 5 | 8 | 5 | 21:22 | 23 |
| ტალიერესი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:30 | 23 |
| რასინგი | 17 | 4 | 10 | 3 | 21:18 | 22 |
| ლანუსი | 18 | 4 | 10 | 4 | 21:22 | 22 |
| ველესი | 18 | 5 | 6 | 7 | 18:26 | 21 |
| რივერ პლეიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 18:22 | 20 |
| ხიმნასია | 18 | 5 | 5 | 8 | 12:20 | 20 |
| ესტუდიანტესი | 17 | 5 | 4 | 8 | 14:18 | 19 |
| ინდეპენდიენტე | 18 | 4 | 7 | 7 | 14:19 | 19 |
| ოლიმპო | 18 | 4 | 5 | 9 | 15:22 | 17 |
| ატლეტიკო | 17 | 3 | 7 | 7 | 18:26 | 16 |
| ნუევა ჩიკაგო | 18 | 2 | 5 | 11 | 14:30 | 11 |

„ბოკა ხუნიორსი“ ჩემპიონია

## ჩილე

### კლაუსურა
### პლეი ოფი. 1/4 ფინალი
### საპასუხო მატჩები

უნიონ ესპანიოლა — კობრელოა 2:4; კოლო კოლო — უნივერსიდად კატოლიკა 0:0; უნივერსიდად დე კონსეპსიონი — კობრესალი 5:2; უონდერერსი — პალესტინო 1:1

### ნახევარფინალის წილისყრა

კობრესალი — კოლო კოლო; კობრელოა — უონდერერსი

## ურუგვაი

### კლაუსურა. ფინალი

პენიაროლი — ნასიონალი გადაიდო

## მექსიკა

### აპერტურა
### პლეი ოფი. 1/4 ფინალი
### საპასუხო მატჩები

უნამი — ტოლუკა 0:2 (2:2); ტიგრესი — კრუზ ასული 1:2 (1:0); სანტოს ლაგუნა — ატლანტე 2:2 (1:3); პაჩუკა — ნეკაქსა 1:2 (3:1)

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

## მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

### საამიროები

### 1/8 ფინალი

**არგენტინა 2:1 დ.დ. (1:1) ეგვიპტე**

1:0 კავენაგი (26), 1:1 მეტვალი (42), 2:1 კავენაგი (110, ოქროს გოლი)

**აშშ 2:0 კოტ დივუარი**

1:0 მეპი (7), 2:0 ჯონსონი (43)

**იაპონია 2:1 დ.დ. (1:1) სამხრეთ კორეა**

0:1 ჩოი (38), 1:1, 2:1 საკატა (82, 112, ოქროს გოლი)

**ბურკინა ფასო 0:1 კანადა**

0:1 სიმპსონი (59)

ეროვნული ბიბლიოთეკა

*2003 წლის ივნისში ქართულმა სპორტულმა მასმედიამ არჩევანი გააკეთა — „სარბიელის" ტრადიციული ყოველწლიური გამოკითხვით საქართველოს მე-14 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ზურაბ იონანიძე გახდა. ქუთაისის „ტორპედოს" აწ უკვე ყოფილი კაპიტანი და ლიდერი, იმავდროულად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი თითქმის უკონკურენტო იყო. „იონას" წინა სეზონში ყველაფერი გამოსდიოდა, ის „ტორპედოს" სული და გული, ჩემპიონატის გამორჩეული ფიგურა იყო.*

*სეზონის დასრულებისთანავე იონანიძემ რამდენიმე დღე დაისვენა და უმალ უკრაინას მიაშურა — მან „ტორპედო" დატოვა და ორწლიანი კონტრაქტი სიმფეროპოლის „ტავრიასთან" გააფორმა, ზუსტად იმ დღეს, როცა „სარბიელმა" გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. ცხადია, ამის გამო „იონასთვის" პრიზის გადაცემა დაგვიგვიანდა, თუმც არც ეს საქმე გამოდგა თავმოუბმელი. უკრაინიდან ქუთაისში შვებულებით ჩამოსული ზურა კვირას, „ტორპედო" — „დილას" მატჩის შესვენებაზე დავაჯილდოვეთ. თუმც ვფიქრობთ, ყველაზე დიდი ჯილდო მან ხალხისგან მიიღო — ტაშ-ოვაციებით ახმაურებული სტადიონი კიდევ ერთხელ მოეფერა თავის ძველ ყოჩს.*

*ზურაბ იონანიძემ იმავე დღეს „სარბიელის" კითხვებსაც უპასუხა...*


გაგიკო კანდელაკის ფოტო

ზურაბ იონანიძე „სარბიელის" პრიზით

# ამას რას ხედავს კოლექციონა?! შორიდან გამტანი შორიდან წუხს

— ძალიან მიხარია, რომ ასეთი პატივი მერგო. ყველას მადლობას ვუხდი, ვინც საუკეთესოდ მიმიჩნია. ხალხისგანაც არ ველოდი ასეთ სითბოს. მადლობელი ვარ...

**— ახლა „ტორპედო" — „დილას" მატჩს ვუყურებთ. შენი მშობლიური კლუბი ექვსეულში ვერ შედის...**

— რა გითხრა, არც ვიცი. „ტორპედო" ძალიან მეცოდება. არ მეგონა, ასე თუ გაუჭირდებოდა. „ტორპედო" არ იმსახურებს უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბრძოლას. ეს გუნდი სულ საუკეთესო ადგილებისთვის უნდა იბრძოდეს. ამ სეზონში კი... საცოდაობაა, მაგრამ იმედი მაქვს, „ტორპედო" მალე დადგება ფეხზე.

**— დახმარების სურვილი ხომ არ გაგიჩნდა?**

— როგორ არა, ძალიან მინდა, ახლავე მოედანზე გავიდე და ჩემს საყვარელ გუნდს დავეხმარო. სამწუხაროა, რომ ეს შეუძლებელია... „ტორპედო" ჩემთვის ბევრს ნიშნავს, კარიერის უმეტესი დრო ამ კლუბში გავატარე, ბევრ წარმატებასაც მივაღწიე და ახლა ასეთ საცოდაობას ვუყურებ. ნეტავ, თამაში შემეძლოს...

**— მე-14 ჩემპიონატი შენთვის საუკეთესო იყო?**

— ერთ-ერთი საუკეთესო. ვერ ვიტყვი, რომ წინა სეზონში პიკი მქონდა. ადრეც კარგი სეზონები ჩამიტარებია და იმედი მაქვს, კიდევ ვიტყვი ჩემს სათქმელს. მე-14 ჩემპიონატში კი გული მხოლოდ იმაზე დამწყდა, რომ „ტორპედომ" ვერაფერი მოიგო.

**— საქართველოს ჩემპიონატების უმაღლეს ლიგაში 317 მატჩი გითამაშია. რომელიმეს ხომ არ გამოარჩევ?**

— გამიჭირდება. ძნელია, ამდენი თამაშიდან ერთის გამოყოფა. მით უმეტეს, ბოლო წლებში სულ ჩემპიონები ვიყავით, ყველას ვჯობდით და, ცხადია, ყოველთვის სერიოზულად ვემზადებოდით. ჩვენთვის ხომ ყველა მატჩი განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი იყო.

**— მაშინ ყველაზე ავადმოსაგონარი რომელი იყო?**

— ალბათ, შარშანდელი თასის ნახევარფინალი ბოლნისის „სიონთან". საპასუხო მატჩში პენალტი ვერ გავიტანე და „ტორპედო" გავარდა. ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავი. ჩემი შეცდომით გუნდმა იზარალა.

**— მე-14 ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი ვის დაასახელებდა საუკეთესოდ?**

— რთული კითხვაა. რამდენიმე ფეხბურთელს მართლა კარგი სეზონი ჰქონდა. ამათგან რომელიმეს ავირჩევდი.

**— მაინც რომელს?**

— ალბათ, უფრო გიორგი ანჩაბაძეს. ძალიან ძლიერად ითამაშა. თბილისის „დინამოს" ჩემპიონობაში მან დიდი წილი დაიდო. ვფიქრობ, ანჩაბაძეც იმსახურებდა საუკეთესობას, მაგრამ მე უფრო გამიმართლა და ამით ბედნიერი ვარ.

**— ქვეყნის ჩემპიონი, თასის მფლობელი, ბომბარდირი, საუკეთესო ფეხბურთელი... კიდევ დარჩა საქართველოში რამე გასაკეთებელი ზურაბ იონანიძეს?**

— მგონი, ყველაფერი ჩამოთვალე და სხვა რა უნდა გავაკეთო?! არ ვიცი, ალბათ არაფერი დამრჩენია. საქართველოში ყველაფერს მივაღწიე, თუმცა...

**— რაღაც გაგახსენდა...**

— ჰო, მაგრამ ეს სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული.

**— რაზე ამბობ?**

— ევროტურნირებზე სუსტი თამაში ჩამრჩა გულში ხინჯად. უფრო უკეთ შეგვეძლო, მაგრამ სხვა არაფერზე ვნანობ.

**— დარწმუნებული ხარ?**

— მივხვდი, რაზეც მეკითხები. საქართველოს ნაკრებში სულ სამჯერ ვითამაშე და ისიც არაფრისმომცემ ამხანაგურ მატჩებში. ნაკრებში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. სამწუხაროდ, მე ამის შანსი ხეირიანად არც მქონია.

**— ნაკრებს შევეხეთ და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრაზეც გეითხარი. მით უმეტეს, უკრაინა ჩვენი მეტოქეა და შენ ახლა სწორედ ამ ქვეყანაში თამაშობ.**

— წინა შესარჩევში უკრაინამ სუსტად ითამაშა, ისევე, როგორც საქართველომ. ორივე ნაკრები ჩავარდა. ალბათ, ახლა გაღვიძების დრო მოვიდა. უკრაინელები სერიოზულად ფიქრობენ ფინალურ ეტაპზე გასვლას და ვნახოთ, რა გამოუვათ.

**— უკრაინის და საქართველოს ჩემპიონატები ძალიან განსხვავდება?**

— საგრძნობლად. აშკარა სხვაობაა.

**— და რაშია ეს სხვაობა?**

— თითქმის ყველაფერში. პირობებზე, მოედნებზე და ასეთ რაღაცებზე ლაპარაკიც ზედმეტია. საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებიც თამაშობენ და დონეც მაღალია. ფინანსურად თითქმის ყველა კლუბი წელგამართულია, რეკლამაც საკმაო როლს თამაშობს ფეხბურთის პოპულარიზაციაში. წარმოიდგინეთ, ყველა თამაში განათებით ტარდება. ხალხს ხომ ესეც ძალიან იზიდავს.

**— „ტავრიაზეც" ვთქვათ. დიდი ხანია, კლუბს ასეთი ცუდი სეზონი არ ჰქონია...**

— არეული სიტუაცია იყო. თავიდან თითქოს კარგად დავიწყეთ, მაგრამ მერე ჩავვარდით. საბედნიეროდ, ბოლო ტურებში ვიძალეთ და ქულები დავაგროვეთ, თორემ შესაძლოა, უმაღლესი ლიგიდან გავარდნის უმთავრესი კანდიდატები ვყოფილიყავით.

**— გოლებიც ბოლოს უფრო გაიტანე...**

— სხვათა შორის, „ზირკას" კარში გატანილი ბურთი პირველი წრის საუკეთესო გოლად აღიარეს. 35 მეტრიდან დავარტყი და ცხრიანში გავიტანე. მართლა ლამაზი გოლი იყო.

**— ისეთი აზრი გაჩნდა, თითქოს „ტავრიაში" ქართველები მოიძულეს..**

— მსგავსი არაფერი გამიგია. ყველა კარგად გვექცევა. შოთა ჩომახიძეც იმიტომ გაუშვეს გუნდიდან, რომ ტრავმებმა გააწვალა, თან კონტრაქტიც უმთავრდებოდა. მე და გია ჭანტურია კი შვებულებაში ვართ.

**— როდის ბრუნდებით უკრაინაში?**

— 20 დეკემბერს. სიმფეროპოლში ათდღიანი შეკრება გვექნება და მერე ალბათ უცხოეთშიც მოვემზადებით.

**ᲙᲐᲮᲐ ᲨᲐᲚᲐᲛᲑᲔᲠᲘᲫᲔ**






შინდისფერი იონანიძეს (№14) ოცნებად დაურჩა

გაგიკო კანდელაკის ფოტოები



ქუთაისელთა მეგოლეს თბილისის „დინამო" არაერთხელ გაუმწარებია

# შუშაკი ცრუმორწმუნე გახდა

## დინამომ და ჟურნალისტებმა ორი ტაიმი ითამაშეს

*საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ გუშინ პირველი ეტაპის შემაჯამებელი პრესკონფერენცია ჩაატარა. კლუბის მმართველმა დირექტორმა დავით პეტრიაშვილმა და მწვრთნელმა ივო შუშაკმა ამ სეზონის სანახევროდ გავლილ გზაზე ისაუბრეს. ითქვა წარმატება-წარუმატებლობაზე, ითქვა პრობლემებზე, პერსპექტივაზე... სიტყვა თავიდან, რა თქმა უნდა, „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ აიღო, მერე დავით პეტრიაშვილის სალამი იყო და ივო შუშაკმა დაიწყო...*



ბადრი კოთილაძის ფოტოები

— სეზონის წინ ორი მიზანი გვქონდა: ქვეყნის ჩემპიონობის შენარჩუნება და ევროტურნირებზე რაც შეიძლებოდა მეტხანს თამაში. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგას პირველივე საკვალიფიკაციო ეტაპიდანვე გამოვეთიშეთ, სასიხარულოდ კი ჩემპიონატს ვლიდერობთ. ტირანაში წაგების შემდეგ გუნდი დაჭრილი იყო, მაგრამ კლუბის თითოეული წევრის კეთილსინდისიერი მუშაობით შევძელით ვითარების სტაბილიზაცია, სექტემბერ-ოქტომბერში ჩვენი თამაში „დავიჭირეთ“ და საუკეთესო შედეგც მივიღეთ. ვიმედოვნებ საგაზაფხულოდ უფრო გავძლიერდებით, „დინამოში“ მეტი ერთსულოვნება იქნება და ჩემპიონობასაც შევინარჩუნებთ. მადლობა სპონსორს, ფეხბურთელებს, კლუბის პერსონალსა და ხელმძღვანელობას.

*დავით პეტრიაშვილი:* სეზონი წარუმატებლად დავიწყეთ, მაგრამ კრიზისი მალე დავძლიეთ და პირველი ეტაპი ლიდერად დავამთავრეთ. იოლი არ იყო იმ მძიმე ვითარებიდან გამოსვლა, რაც პირველ ყოვლისა კლუბის სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. მადლობა კლუბის თითოეულ თანამშრომელს, რომ საკუთარ თავში იპოვა პროფესიონალიზმის მარცვალი და „დინამოს“ მოახმარა.

...„დინამო 2“ ასი პროცენტით განახლისდა. შემოვიღეთ ასაკობრივი ცენზი, აწი ჩვენი ფარმ-კლუბის მოთამაშე 18 წლისა და უმცროსი იქნება. შევქმენით „დინამოს“ საფეხბურთო აკადემია. წინ ვიხედებით, სამ-ოთხ წლიანი პროგრამა გვაქვს შემუშავებული. გვყავს სპონსორი — „ბორჯომი“, რაც ქართული ფეხბურთისთვის ასევე წინგადადგმული ნაბიჯია. რა თქმა უნდა, მადლობა ბადრი პატარკაციშვილს.

–გუნდი როტაციის გარეშე წარმოუდგენელია. „დინამოს“ მალე დატოვებს რამდენიმე ფეხბურთელი, თუმც მათ შემცვლელებზე უკვე გვაქვს ნაფიქრი. ჩვენი ახალწვეულები იქნებიან როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელები. ვფიქრობთ უცხოელების მოწვევაზეც. საამისოდ დრო გვაქვს.

*ივო შუშაკი:* ხიზანეიშვილს მოსკოვის „დინამოდან“ ნათხოვრობის ვადა დაუმთავრდა, ალექსიძესა და დარასელიას ჩვენთან კონტრაქტები დაუმთავრდათ, მათ გარდა „დინამო“ შესაძლოა სხვა ფეხბურთელებმაც დატოვონ. არც ერთის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის. „დინამო“ ფეხბურთელს მხოლოდ იმ კლუბში გაუშვებს, რომელიც მოთამაშის მატერიალურ-სპორტულ პრინციპსაც დააკმაყოფილებს და, რა თქმა უნდა, „დინამოს“ მოთხოვნებსაც.

*დავით პეტრიაშვილი:* საქართველოს ჩემპიონატის სტრუქტურა არ გვაძლევს საშუალებას, „დინამოს 2“-ის ფეხბურთელებს ფართო გასაქანი მივცეთ. ჩვენ პირველ ლიგაშიც ვმონაწილეობთ, თუმც უმაღლესში გადასვლა არ შეგვიძლია, ამავე დროს კი შესაძლოა დავქვეითდეთ. რეგიონალლიგაში კი „დინამოს“ თავისი გუნდი ჰყავს. მოკლედ, ფედერაციისადმი ერთი სიტყვა გვაქვს — შემოვიღოთ დუბლშემადგენლობების გათამაშება და ყველა კლუბმა წარადგინოს 40 კაციანი განაცხადი. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე 12 გუნდიდან ათს შეუძლია ჰყავდეს დუბლშემადგენლობა.

*ივო შუშაკი:* „დინამო 2“-დან კაშია და ხმალაძე უკვე ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. მათ დიდი პოტენცია აქვთ და შეუძლიათ „დინამოში“ ადგილის დამკვიდრება.

*დავით პეტრიაშვილი:* ესენგეს ტურნირზე როგორც მოსამზადებელზე, ისე ვფიქრობთ, თუმც არ გვავიწყდება ქართული ფეხბურთის პრესტიჟიც. „დინამოს“ ამ ტურნირში სამი წელია, არ უთამაშია, რადგანაც ქვეყნის ჩემპიონები არ ვყოფილვართ. ამჯერად კი ვისურვებდი, რომ „დინამო“ მოსკოვიდან 28 თებერვალს დაბრუნდეს, რადგანაც ფინალი წინა დღესაა დანიშნული. კლუბის ხელმძღვანელობა მოსკოვის ტურნირში „დინამოს“ გამოსვლას საკმაოდ ფრთხილად მოეკიდება. ესენგეზე ჩასული ჩვენი გუნდი სულ ერთი კვირის შეკრებილი იქნება, თუმც, ვიმეორებ, მოსკოვში წარმატებით თამაში მთლიანად ქართული ფეხბურთისთვის პრესტიჟის საქმეა.

*ივო შუშაკი:* ჩვენ გვსურს, რომ ყველა საერთაშორისო ტურნირში ღირსეულად ვითამაშოთ. „დინამოს“ შეუძლია მოსკოვში წარმატებით თამაში.

...შარშან წინასწარ რომ ვთქვი, რომელი ფეხბურთელების გადმობირებაც გვსურდა, ყველა ვარიანტი ჩაიშალა. ამჯერად თავს შევიკავებ და ვერ გეტყვით, „დინამოში“ რომელ ფეხბურთელებს ვისურვებდი.

*დავით პეტრიაშვილი:* რა თქმა უნდა, კარგია, რომ შეიქმნა პროფესიული ფეხბურთის ლიგა, თუმც, ვფიქრობთ, არაფერი შეცვლილა. ჩემპიონატის ჩატარების სტრუქტურა იგივეა, ქულითა დარიცხვის სისტემაც იგივე. ერთადერთი, რაც შეიცვალა, ისაა, რომ ჩემპიონატის მატჩები უფრო ფართოდ შუქდება მასმედიით. „დინამოს“ თავისი წილი შენიშვნები პროფლიგისადმი, რა თქმა უნდა, აქვს, ვიმედოვნებთ, მალე ორივე მხარისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

...საკუთარი სტადიონის აშენებას „დინამო“ ჯერჯერობით არ აპირებს. თუმც ჩვენ კლუბის ინფრასტრუქტურის განვითარებას ვცდილობთ და გეგმაში საკუთარი სტადიონიც გვაქვს. ამჟამად კი კლუბის ინფრასტრუქტურის მოწყობას მეტ ყურადღებას ვაქცევთ.

...„დინამოს“ ირგვლივ ისეთი ხმები ტრიალებს, რომლებიც კლუბის იმიჯზე უარყოფითად მოქმედებს. მოკლედ ვიტყვი — ბიუჯეტის დავალიანება „დინამოს“ არ ეხება.

**კობა ინასარიძე**



სერიოზული და საჭირბოროტო პირველი ტაიმის მერე
სახალისო მეორე ტაიმის დროც დადგა




**სამკურნალო გაერთიანება**
**„ლიგა“**
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**
ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი 15 ჩემპიონატი ეტაპი 1-22 ტური

# რას უდრის თხუთმეტის ნახევარი?

*მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპი – ეს არ იყო ნაცრისფერი მატჩებისა და ამბების კრებული. საინტერესო და ახალი, დაძაბული და ჟინიანი, თუმც ბევრი ნაკლი, უხამსი ფაქტები და იმედი – ესეც ჩაიტია მიმდინარე ჩემპიონატის ოცდაორმა ტურმა*



გაიოზ ქათამიძის ფოტო

## პიონერი პროფლიგა

როგორც იქნა, გვეღირსა — შეიქმნა საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგა, რომელიც ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებს ჩემპიონატს, ხოლო მე-16 ეროვნულს ალბათ დამოუკიდებლად გაუძღვება. პროფლიგის მთავარი ღირსება ჩემპიონატისა და თასის გათამაშების კომერციალიზაციაა — 300 000 ლარი — ეს თანხა მოაქუჩა პროფლიგამ სპონსორებისგან. თქმა არ უნდა, არცთუ დიდი კაპიტალია, მაგრამ დასაწყისისთვის არა უშავს. თუმც პროფლიგის სტრუქტურა ჯერაც დასახვეწია. თუნდაც ის ფაქტი ავიღოთ, რომ თბილისის „დინამო“ პროფლიგის წევრი ჯერაც არაა. მაგრამ აქ სხვა რამეა მთავარი — აქამდე ჩვენს ჩემპიონატში კაპიკს არავინ დებდა, ახლა კი პროფლიგის ძალისხმევით პროცესი დაწყებულია.

პროფლიგის მთავარი პარტნიორი ტელეკომპანიებიდან „იმედია“, რომელიც მხოლოდ იმ მატჩებს გადასცემს პირდაპირი ეთერით, რომლებშიც „დინამო“ მონაწილეობს. არადა, არსით პროფლიგა კლუბთა პარიტეტული ორგანიზაციაა და ყველა გუნდის გულშემატკივრის ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული.

საქართველოს დარ პროვინციულ ჩემპიონატებში ყოველთვის განსაკუთრებულად აქტუალურია მსაჯობის თემა. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენ დაბალი დონის მსაჯები გვყავანან, მაგრამ ისინი პროვინციული ჩემპიონატის მსაჯები არიან და ჩემპიონატი რომ ასეთია, მხოლოდ მათი ბრალი არ არის. სადისციპლინო კომიტეტი მსაჯის მაგინებელსა და გამლახავს ძალიან ლოიალურად ეპყრობა, თუმც 12 ნოემბერს „სიონ“— „დილას“ მატჩში მომხდარს, როგორც იქნა, შესაბამისი განაჩენი გამოუტანა. ისიცაა, რომ კოდექსი, რომლითაც დისციპლინარები ხელმძღვანელობენ, დასახვეწია.

მაგრამ არის ერთი მომენტიც — მეთხუთმეტე ტურის „ვიტ ჯორჯია“ — „დინამოს“ შეხვედრაში არბიტრი მერაბ მალაღურაძე ერთერმა დინამოელმა წააქცია და მერე მსაჯს ფეხიც კი მიარტყეს. დისციპლინარებმა მკაცრად ვერავინ დასაჯეს — მალაღურაძის პატაკი ამის საფუძველს არ იძლევაო. მოკლედ, თუ დისციპლინარები მხოლოდ პატაკებით იხელმძღვანელებენ, მათი ვერდიქტები ეფექტური ვერ იქნება — აქაც განახლებაა საჭირო, თორემ ისევ პროვინციული ჩემპიონატი შეგვრჩება ხელთ.

უმაღლეს ლიგაში გუნდები შემცირებამ ჩემპიონატს დაძაბულობა შემატა, მე-15 ეროვნული კი ყველაზე მძაფრია წინამორბედებთან შედარებით. პროფლიგამ კლუბებს ათგუნდიანი უმაღლესი ლიგა შესთავაზა და თუ ეს იდეა გაიმარჯვებს, დაძაბულობის კიდევ უფრო მატებასთან ერთად იმასაც მივაღწევთ, რომ უფულო და ფინანსურად არასტაბილური გუნდები უმაღლეს ლიგაში შემცირდებიან.

## გულშემატკივარი და ცეცხლთან თამაში

მარტივად ვთქვათ — დაძაბულობის მატებამ ფეხბურთის დონეს ჯერჯერობით ვერაფერი შემატა. არ იყო დაძაბულობა ადრე ჩატარებულ ჩემპიონატებში, როცა „დინამო“ ფაქტობრივად უპრობლემოდ ხდებოდა ჩემპიონი, მაგრამ მაშინ თითქმის ყველა გუნდში მოიძებნებოდნენ ქარაზმატული ფეხბურთელები. ასეთებს ახლა იშვიათად თუ შეხვდები, იქით თუ დააბრალებ ქარაზმატულობას. ადრე კი სხვანაირად იყო, ნაკლებადამბიციურ გუნდებსაც ჰყავდათ ასეთი ფეხბურთელები, გუნდის თავისებურ ლოგოტიპებს რომ წარმოადგენდნენ. ალბათ აქედანაც მოდის ის, რომ მიუხედავად დაძაბულობისა, ჩემპიონატის მატჩებს ბევრი მაყურებელი არ ჰყავს.

სტადიონზე გულშემატკივართა კლებას ხელს უწყობს უსახსრობა და არასტაბილური სიტუაცია არათბილისურ გუნდებში. ისეთი ტრადიციული გუნდები, როგორებიც „ბათუმი“, „ტორპედო“ და „კოლხეთი“ არიან, ექვსეულს მიღმა დარჩნენ და თუ ადრე „ტორპედოს“ საშინაო მატჩებზე საშუალოდ 7-8 ათასი მაყურებელი დადიოდა, ახლა 1000-1500 კაცი თუ მივა. თუმც მიუხედავად ამისა, ამ გუნდებში ერთი-ორი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი მაინც გამოჩნდა, თუნდაც ბათუმელი მიხეილ კაკალაძე და ტორპედოელი გიორგი ნერგაძე.

სეზონის გუნდი-აღმოჩენა „თბილისია“, რომელიც 31 წლის მწვრთნელის გიორგი დევდარიანის ხელში ახლებურად, მძლავრად ათამაშდა და ზეექვსეულში შევიდა. „თბილისი“ სწრაფ, აქტიურ ფეხბურთს თამაშობს, თუმც მისი მანერა უკვე უცხო აღარაა სხვა გუნდებისთვის და ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „თბილისს“ და დევდარიანს უფრო რთული გამოცდა ელით.

წარმატებული, დალაგებული კლუბია „ვიტ ჯორჯია“, მაგრამ ისეთ სტადიონზე თამაშობს, რომელიც მიუდგომელია და თუ მაინც წახვალ, ტრიბუნა იქ ფაქტობრივად არ დაგვხვდება — თავმომწონე და ამბიციური კლუბისთვის გულშემატკივარი პრიორიტეტი არ უნდა იყოს? სხვა მხრივ ვეტერინარებს ვერაფერს დაუწუნებ — გუნდში კვლავაც არიან კარგი მონაცემების და სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელები, არც მთავარ მწვრთნელ ზურაბ ბერიძეს ვუკარგავთ უნარს.

როგორც უნდა იყოს, თბილისის „დინამო“ ყოველთვის პრიმასაკითხია — ყველაზე ტრადიციული, ტიტულოვანი გუნდია და იმიტომ. მოთხოვნებიც უმაღლესია „დინამოში“ მწვრთნელ-ფეხბურთელების და ხელმძღვანელობის მიმართაც. „ტირანასთან“ მარცხის შემდეგ კლუბში ბევრი რამ შეიცვალა — „დინამოს“ საქმეებს დავით პეტრიაშვილი განაგებს, ვინც იქნებ ცეცხლს ეთამაშება — არავინ იცის, რა მოჰყვება მის ახლებურ პოლიტიკას, რასაც, მისივე სიტყვებით რომ ვუწოდოთ, „დინამოში“ დინამოური იდეოლოგიის დამკვიდრება ჰქვია. ივო შუშაკმა და ფეხბურთელებმა კი ქართულ ფრონტზე ჩინებულად იბურთავეს, თუმც რამდენიმე ნიჭიერმა დინამოელმა ისე ვერ მოუმატა თამაშს, როგორც ამას მათგან ველოდით. როცა „დინამოში“ ფული იყო, გუნდი ყოველთვის ხდებოდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ „დინამოს“ მწვრთნელს ისიც მოეთხოვება, რომ რაც შეიძლება მეტი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდეს გუნდში — ასეთი „დინამოში“ ახლა 18 წლის ფორვარდი სანდრო იაშვილია.

## ქარიშხლის წინ და შემდეგ

ერთიცაა, მე-15 ეროვნულის პირველმა ეტაპმა ერთხელაც დაგვანახა, რომ უწყებრივი გუნდების დრო ჩვენში ჯერაც არ წასულა. ბოლნისის „სიონი“ (გამგეობა) და თბილისის „ლოკომოტივი“ (რკინიგზა) თავიანთი ფინანსური შესაძლებლობებით ერთ-ერთი საუკეთესონი არიან საქართველოში, განსაკუთრებით ეს რკინიგზელთა გუნდზე ითქმის. ამ ეტაპზე უწყებრივი გუნდების დაშლა ცუდის მეტს არაფერს მოგვიტანს. ბოლოს და ბოლოს, უწყებრივი გუნდები ყოფილი საბჭოეთის სხვა ქვეყნებშიც ფუნქციონირებენ და საკმაოდ წარმატებითაც. „სიონი“ სულაც ერთადერთი არათბილისური გუნდია, დედაქალაქურ კლუბებს დიდ კონკურენციას რომ უწევს. ეს საკითხი პოლიტიკას არ უნდა დაუკავშირდეს, თუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ფეხბურთისადმი მიდგომას არ ვიგულისხმებთ.

საინტერესო „ლოკომოტივს“ ველოდით 34 წლის მწვრთნელ რევაზ არველაძისგან, მაგრამ ასე არ მოხდა, თუმც არველაძე სამწვრთნელო საქმის გაგრძელებას აპირებს. მისი შემცვლელი რკინიგზელთა გუნდში ლუის ცაკარიასი აღმოჩნდა, ვის ხელშიც გუნდი ზეექვსეულში დარჩა. პერუელმა „ლოკომოტივს“ მობილურობა შემატა, მაგრამ ნახევარმცველ დავით სირაძეს ჯიუტად თავდასხმაში რომ ათამაშებს, ეს ერთობ საკამათოა ჩვენს საფეხბურთო მიკროსამყაროში.

„სიონი“ და „დილა“ — ესეც ორი არათბილისური გუნდი ზეექვსეულში. ბოლნისელები ვარდ-ხავერდიან რევოლუციამდე გუნდის გაძლიერებით იქადნებოდნენ, რევოლუციის შემდეგ კი „სიონის“ დამრიგებელმა ოთარ გაბელიამ გვითხრა, გულშემატკივრები გუნდის დაშლას არავის აპატიებენო. ერთი სიტყვით, ჯერი ახალ ხელისუფლებაზეა. რევოლუციური ქარტეხილის შემდეგ იქნებ გორის „დილას“ ამბავიც მოსაკითხი გახდეს.

მე-15 ეროვნულს ჯერჯერობით ვერაფერი შემატეს უმაღლეს ლიგაში საამსეზონოდ აღზევებულმა „მერცხალმა“ და „სპარტაკმა“. კარგად წარმოაჩინა თავი უმაღლესი ლიგის კიდევ ერთმა დებიუტანტმა „მცხეთამ“, მაგრამ გუნდი, რომელმაც მოუგო „ლოკომოტივს“, „ტორპედოს“ და „დინამოს“, პოლიტიკურად მოუცლელმა პატრონმა შუა გზაზე მიატოვა — ვლადიმერ გუცაევი ხომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გახლავთ.

ახლა არდადეგებია და საფეხბურთო სინოპტიკოსებიც ყელმშრალად არიან — მეთხუთმეტე ეროვნული საპროგნოზო ჩაწოდებებს არ გამოდის.

**დავით თავართქილაძე**



გაიოზ ქათამიძის ფოტო


ბადრი კეთილაძის ფოტო

## გავლახოთ? აბა, რა...
# შუა საუკუნეები აქ და ახლა

*მსაჯებზე გაწევა თუ მათი გალახვა რა გასაკვირია ჩვენი ჩემპიონატისთვის, მაგრამ „სიონ“ – „დილაზე“ ყოველივე განსაკუთრებული იყო – არბიტრი კახა მესხი და „დილა“-„სიონის“ ფეხბურთელები დაჭირობანას და იქნებ ორდროშობანასაც თამაშობდნენ – აკი მესხი სწორედ კუთხურის ალამთან შეიყუჟა, როცა გორელები ნამატჩევს ხელმეორედ გამოეკიდნენ.*


ბადრი კეთილაძის ფოტო

# სამი ქალაქის მრთი დარდი



„ტორპედო“, „ბათუმი“, „კოლხეთი“ — მუდამ ქართული ფეხბურთის მარაქაში მოტრიალე სამეული, რომელსაც წლეულს ამოოხვრით ესღა ეთქმის, დრონი მეფობენო. ჩვენს ფეხბურთში თავისი სიტყვა სამივეს უთქვამს და კიდევაც ეთქმის, მაგრამ, აი, რა გამოვიდა: მე-15 ეროვნულში სამივე ქვეექვსეულში ჩარჩა, უიღბლო დასავლური ტრიო ოდენ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოლებს. მაგრამ ეს ხომ ერთი ჩემპიონატის ერთი ეტაპია, წინ კი დიდი დრო და მომავალია. ეგაა, ფული და პატრონი იყოს კარგად. დროა, ხომ იცით, სხვანაირი...





## არტილერია
# გონჩაროვს თან გააქვს, თან მიაქვს

ქართულ ჩემპიონატში ბომბარდირთა ნუსხა სატურნირო ცხრილივით იცვლებოდა. სეზონის დებიუტი ახალაიასი იყო. დინამოელი დიდხანს ლიდერობდა მეგოლეებში, თუმც ზაფხულიდან ძველი სისხლი ადუღდა — სულიკო დავითაშვილმა იმდენი მოახერხა, ერთ ჯერზე ოთხის გატანა შეძლო და ახალაიასთან ერთად ბევრი სხვაც მოიტოვა. თუმც მერე დავითაშვილი სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა და მეგოლეთა სიას ვიტჯორჯიელი რევაზ გოცირიძე მოექცა სათავეში.

პირველი ეტაპი სტაბილურად ჩაამთავრა ბორის გონჩაროვმაც. მისმა საგოლე ალღომ ბოლნისელებს რამდენჯერმე ერთი შეხედვით უიმედო მატჩიც შემოატრიალებინა. ბოლოსწინა ტურამდე გონჩაროვმა და გოცირიძემ ერთად იარეს, თუმც 21-ე ტურში სიონელმა „კოლხეთს“ დუბლი შეუსრულა და ინდივიდუალურ ხუთასლარიან პრემიასთან ერთად პირველი ეტაპის მთავარმეგოლეობასაც გამოჰკრა ხელი.


ბადრი კეთილაძის ფოტო

| | | |
|---|---|---|
| 15 - | გონჩაროვი | სიონი |
| 14 - | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| 13 - | დავითაშვილი | თბილისი |
| 10 - | კაკალაძე | ბათუმი |
| | ახალაია | დინამო |
| 9 - | ა. კაიდარაშვილი | დილა |
| | მიქუჩაძე | თბილისი |
| 8 - | ალექსიძე | დინამო |
| 7 - | ვ. ბოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | გაბედავა | მერცხალი |
| | სირაძე | ლოკომოტივი |
| | იაშვილი | დინამო |


ბადრი კეთილაძის ფოტო

## პერსპექტივა

სიონი ჯაფარიძე ? ლოკომოტივი ჩხაიძე



## ამბოხი
# ყველაფერი დამთავრდა(სავით)

დიდი ამბავი იყო მაშინ „დინამოში“: პირველი ეტაპის მეცხრე ტურში „დინამოს“ ფეხბურთელები „მცხეთასთან“ მატჩს უარობდნენ, პრემიები შეგვიმცირდა და აღარ ვითამაშებთო.

ფეხბურთელთა პროტესტის პასუხად „დინამომ“ ყველა მეამბოხე ტრანსფერზე დააყენა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ნაკრების კანდიდატი ყველა დინამოელი თავისთან მიიხმო და ეროვნული გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე სთხოვა, კლუბის ხელმძღვანელობისთვის დაეთმოთ.

საბოლოოდ ყველაფერი ასე დამთავრდა — ფეხბურთელებმა „დინამოში“ თამაში გააგრძელეს, „დინამომ“ კი ჩემპიონობისთვის ბრძოლა.


ბადრი კეთილაძის ფოტო

## სიმბოლური ნაკრები

ბორის გონჩაროვი — სიონი
რატი ალექსიძე — დინამო
მიხეილ დარასელია — დინამო
დავით კვირკველია — დინამო
დავით სირაძე — ლოკომოტივი
დავით დიღმელაშვილი — ვიტ ჯორჯია
ბლიკო გოგობერიშვილი — დინამო
გიორგი ბალაშვილი — დილა
გივი კვარაცხელია — თბილისი
დავით ქიქავიშვილი — სიონი
მირზა მერლანი — ვიტ ჯორჯია

გუნდი: დინამო

მწვრთნელი: ზურაბ ბერიძე ვიტ ჯორჯია

| საბოლოო ცხრილი | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 22 | 15 | 5 | 2 | 49:8 | 41 | 50 | 11 | 9 | 2 | 0 | 33:2 | 31 | 29 | 11 | 6 | 3 | 2 | 16:6 | 10 | 21 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 6 | 4 | 38:15 | 23 | 42 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:4 | 17 | 24 | 11 | 5 | 3 | 3 | 17:11 | 6 | 18 |
| 3 | სიონი | 22 | 11 | 7 | 4 | 31:18 | 13 | 40 | 11 | 8 | 2 | 1 | 21:9 | 12 | 26 | 11 | 3 | 5 | 3 | 10:9 | 1 | 14 |
| 4 | თბილისი | 22 | 10 | 5 | 7 | 41:26 | 15 | 35 | 11 | 6 | 3 | 2 | 24:13 | 11 | 21 | 11 | 4 | 2 | 5 | 17:13 | 4 | 14 |
| 5 | დილა | 22 | 10 | 4 | 8 | 28:20 | 8 | 34 | 11 | 8 | 2 | 1 | 18:5 | 13 | 26 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:15 | -5 | 8 |
| 6 | ლოკომოტივი | 22 | 10 | 4 | 8 | 32:24 | 8 | 34 | 11 | 7 | 2 | 2 | 19:8 | 11 | 23 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 11 |
| 7 | ტორპედო | 22 | 10 | 4 | 8 | 27:26 | 1 | 34 | 11 | 8 | 2 | 1 | 17:7 | 10 | 26 | 11 | 2 | 2 | 7 | 10:19 | -9 | 8 |
| 8 | ბათუმი | 22 | 10 | 2 | 10 | 26:28 | -2 | 32 | 11 | 6 | 1 | 4 | 15:11 | 4 | 19 | 11 | 4 | 1 | 6 | 11:17 | -6 | 13 |
| 9 | კოლხეთი | 22 | 7 | 3 | 12 | 18:35 | -17 | 24 | 11 | 4 | 2 | 5 | 12:21 | -9 | 14 | 11 | 3 | 1 | 7 | 6:14 | -8 | 10 |
| 10 | მცხეთა | 22 | 6 | 2 | 14 | 25:55 | -30 | 20 | 11 | 5 | 1 | 5 | 16:22 | -6 | 16 | 11 | 1 | 1 | 9 | 9:33 | -24 | 4 |
| 11 | სპარტაკი | 22 | 4 | 4 | 14 | 14:47 | -33 | 16 | 11 | 3 | 2 | 6 | 8:19 | -11 | 11 | 11 | 1 | 2 | 8 | 6:28 | -22 | 5 |
| 12 | მერცხალი | 22 | 2 | 4 | 16 | 18:45 | -27 | 10 | 11 | 1 | 3 | 7 | 7:15 | -8 | 6 | 11 | 1 | 1 | 9 | 11:30 | -19 | 4 |

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 112 | ჰერტა-მიუნხენი | 1.95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.30 | 113 | ჰანზა-კიოლნი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1.13 | 1,24 | 1,95 |
| 18.30 | 114 | ლევერკუზენი-ვერდერი | 2,1 | 3,3 | 3.2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.30 | 115 | ბაიერნი-შტუტგარტი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1.8 |
| 18.30 | 116 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1.8 |
| 18.30 | 117 | ბოხუმი-აინტრახტი | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1,22 | 2.1 |
| 18.30 | 118 | კაიზერსლაუტერნი-შალკე | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 119 | მიონხენგლადბახი-დორტმუნდი | 2.5 | 3,2 | 2.5 | 1.4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 120 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.8 | 3.3 | 4,0 | 1,16 | 1.24 | 1,8 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.). XIX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 135 | დორტმუნდი(მ)-შალკე(მ) | 1.7 | 3.4 | 4,2 | 1.13 | 1,21 | 1,87 |

### იტალია. სერია A. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 21.00 | 136 | უდინეზე-ლეჩე | 1.7 | 3.1 | 5.3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 23.30 | 137 | პერუჯა-სამპდორია | 2,5 | 2.9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 138 | ანკონა-ლაციო | 5.0 | 3,2 | 1.7 | 1.95 | 1.26 | 1,11 |
| 18.00 | 139 | ბოლონია-ინტერი | 4,2 | 3,1 | 1,85 | 1,78 | 1,28 | 1,15 |
| 18.00 | 140 | ბრეშია-ემპოლი | 1.8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1.3 | 1.8 |
| 18.00 | 141 | იუვენტუსი-პარმა | 1.65 | 3,1 | 6.0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 18.00 | 142 | რეჯინა-კიევო | 2.45 | 2.9 | 2.9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| 23.30 | 143 | რომა-მოდენა | 1.2 | 5.3 | 12.5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 144 | რომა-მოდენა 0:1 | 1.6 | 3,2 | 3.6 | | | |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 187 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 00.30 | 188 | სელტა-ათლეტიკო | 2,25 | 3.2 | 3.0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 00.30 | 189 | ვალიადოლიდი-სოსიედადი | 2.0 | 3,1 | 3.6 | 1.21 | 1.28 | 1,66 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 190 | ვილიარეალი-მურსია | 1.65 | 3.3 | 5.3 | 1.1 | 1.25 | 2.03 |
| 20.00 | 191 | მალაგა-მალიორკა | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1.28 | 1.6 |
| 20.00 | 192 | რასინგი-ოსასუნა | 2,3 | 3,1 | 3.0 | 1,32 | 1.3 | 1.52 |
| 20.00 | 193 | სარაგოსა-ალბასეტე | 1.8 | 3,2 | 4,2 | 1.15 | 1.26 | 1.81 |
| 20.00 | 194 | ბეტისი-ვალენსია | 2.9 | 3.1 | 2.35 | 1,49 | 1.29 | 1.33 |
| 22.00 | 195 | რეალი-დეპორტივო | 1.65 | 3.4 | 5,6 | 1,11 | 1,27 | 2,11 |
| 24.00 | 196 | ბილბაო-სევილია | 2.0 | 3.1 | 3.6 | 1,21 | 1.28 | 1.66 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. XVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 20.15 | 214 | მეც-ბორდო | 1.7 | 3.1 | 5.3 | 1.09 | 1.28 | 1.95 |
| 23.00 | 215 | ოსერი-ლანსი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 216 | ბასტია-ლიონი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.00 | 217 | გენგამი-ნანტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 23.00 | 218 | ლილი-ლე მანი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.00 | 219 | მეცი-რენი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 23.00 | 220 | მონპელიე-მარსელი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 221 | სოშო-აიაჩო | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.00 | 222 | ტულუზა-ნიცა | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 223 | მონაკო-სტრასბური | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 224 | მონაკო-სტრასბური 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,7 | | | |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 227 | სენტ-ეტიენი-ნიორი | 2,05 | 2,8 | 3,8 | 1,18 | 1,33 | 1,61 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 252 | როდა-ბრედა | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 253 | დენ ჰააგი-ტილბურგი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 22.30 | 254 | როზენდალი-ჰერენვენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.30 | 255 | პსვ-ვალვაიკი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 256 | პსვ-ვალვაიკი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 22.30 | 257 | ტვენტე-ფეიენოორდი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 258 | ვოლენდამი-ალკმაარი | 3,3 | 3,4 | 2,0 | 1,67 | 1,24 | 1,25 |
| 17.30 | 259 | ნაიმეგენი-ვიტესი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 17.30 | 260 | აიაქსი-უტრეხტი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 261 | აიაქსი-უტრეხტი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 17.30 | 262 | ზვოლე-გრონინგენი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |

### ბელგია. I დივიზიონი. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.30 | 276 | ჰეუსდენი-ლიერსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1.37 | 1,27 | 1.46 |
| 23.30 | 277 | შარლერუა-სტანდარდი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1.94 | 1,22 | 1,14 |
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 278 | ბეერსხოტი-მუსკრონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 23.00 | 279 | ბრიუგე-მონსი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 280 | ბრიუგე-მონსი 0:1 | 1,55 | 3,4 | 3,6 | | | |
| 23.00 | 281 | სტ.ტრუიდენი-ანტვერპენი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 282 | ბევერენი-ლუვიე | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1.23 | 1,27 | 1,67 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 283 | ანდერლეხტი-სერკლი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 284 | ანდერლეხტი-სერკლი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 18.00 | 285 | ლოკერენი-გენტი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.00 | 286 | ვესტერლო-გენკი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |

### თურქეთი. სუპერლიგა. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **13 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 314 | გენჩლერბირლიგი-ისთანბული | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 15.30 | 315 | გაზიანთეფი-ელაზიგი | 1,4 | 4,0 | 7,0 | 1,03 | 1,16 | 2,54 |
| | 316 | გაზიანთეფი-ელაზიგი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,5 | | | |
| 18.30 | 317 | სებათი-ბეშიქთაში | 7,0 | 4,0 | 1,4 | 2,54 | 1,16 | 1,03 |
| 21.00 | 318 | ფენერბაჩე-დენიზლი | 1,6 | 3,6 | 4,8 | 1,1 | 1.2 | 2,05 |
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 15.30 | 318 | ადანა-ანკარაგუჯუ | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 15.30 | 319 | ბურსა-დიარბაქირი | 2,05 | 3.2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 15.30 | 320 | რიზე-სამსუნი | 2,15 | 3,3 | 3,0 | 1,3 | 1,25 | 1,57 |
| 15.30 | 321 | კონია-მალათია | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1.38 | 1,23 | 1,4 |
| 21.00 | 322 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1,6 | 3,5 | 5,0 | 1,09 | 1,21 | 2,05 |

### ჩემპიონთა ლიგა. VI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 409 | ლიონი-სელტიკი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.45 | 410 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 23.45 | 411 | დინამო-ინტერი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 23.45 | 412 | არსენალი-ლოკომოტივი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 413 | აეკ-მონაკო | 3,3 | 3,1 | 2,0 | 1,59 | 1,24 | 1,21 |
| 23.45 | 414 | პსვ-დეპორტივო | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 23.45 | 415 | იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი | 1,35 | 3,8 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,67 |
| 23.45 | 416 | სოსიედადი-გალათასარაი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

### უეფას თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **11 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.00 | 421 | მაკაბი-ვალენსია | 6,5 | 3,6 | 1,5 | 2,31 | 1,21 | 1,05 |

### საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიო)

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **14 დეკემბერი** | | | | | | |
| 14.15 | 422 | მილანი-ბოკა ხუნიორსი | 1,9 | 3,2 | 3.8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

### საკონტინენტთაშორისო თასი (ტოკიო). თასის აღება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **14 დეკემბერი** | | |
| 14.15 | 6001 | მილანი-ბოკა ხუნიორსი | 1,5 | 2,2 |

### სამხრეთ ამერიკის თასი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 04.10 | 423 | რივერ პლეიტი-სიენსიანო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1.02 | 1,16 | 2,46 |

### ჰოკეი. რუსეთი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 13.00 | ამური-ნეფტეხიმიკი | 1,8 | 4,8 | 2,6 | 1,3 | 1,06 | 1,68 |
| 19.30 | ლოკომოტივი-დინამო | 1,7 | 4,8 | 3,0 | 1,25 | 1,08 | 1,84 |
| 19.30 | ტორპედო-მაგნიტოგორსკი | 3,1 | 5.0 | 1,65 | 1,91 | 1,07 | 1,24 |
| 19.30 | სევერსტალი-ნოვოკუზნეცკი | 2,1 | 4,6 | 2,3 | 1,44 | 1,09 | 1,53 |
| 19.30 | აკ-სიბირი | 1,6 | 5,0 | 3,3 | 1,21 | 1,07 | 1,98 |
| 20.00 | ცსკა-აკ ბარსი | 2,25 | 4,6 | 2,15 | 1,51 | 1,09 | 1,46 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | |
| 23.45 | 5009 | ლიონი-სელტიკი | 2.35 | 2.1 | 4.4 | 1.1 | 1.53 | 1.42 |
| 23.45 | 5010 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 1.65 | 2,7 | 6,5 | 1,02 | 1,31 | 1.9 |
| 23.45 | 5011 | დინამო-ინტერი | 3.4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1.56 | 1.2 |
| 23.45 | 5012 | არსენალი-ლოკომოტივი | 1.5 | 3.1 | 7,5 | 1,01 | 1,25 | 2.19 |
| 23.45 | 5013 | აეკ-მონაკო | 4.0 | 2.05 | 2.5 | 1,35 | 1,53 | 1,12 |
| 23.45 | 5014 | პსვ-დეპორტივო | 2.9 | 2.1 | 3,3 | 1,21 | 1,54 | 1.28 |
| 23.45 | 5015 | იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი | 1,65 | 2.7 | 6,5 | 1.02 | 1.31 | 1.9 |
| 23.45 | 5016 | სოსიედადი-გალათასარაი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1.1 | 1,53 | 1,42 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 5309 | ლიონი-სელტიკი | 1.7 | 1,9 |
| 23.45 | 5310 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 1,7 | 1,9 |
| 23.45 | 5311 | დინამო-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 23.45 | 5312 | არსენალი-ლოკომოტივი | 1.8 | 1.8 |
| 23.45 | 5313 | აეკ-მონაკო | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5314 | პსვ-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 23.45 | 5315 | იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი | 1.7 | 1.9 |
| 23.45 | 5316 | სოსიედადი-გალათასარაი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 5209 | ლიონი-სელტიკი | 1.7 | 1,9 |
| 23.45 | 5210 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 1,9 | 1.7 |
| 23.45 | 5211 | დინამო-ინტერი | 1.8 | 1,8 |
| 23.45 | 5212 | არსენალი-ლოკომოტივი | 1.9 | 1.7 |
| 23.45 | 5213 | აეკ-მონაკო | 1,8 | 1.8 |
| 23.45 | 5214 | პსვ-დეპორტივო | 1.8 | 1,8 |
| 23.45 | 5215 | იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი | 1.85 | 1,75 |
| 23.45 | 5216 | სოსიედადი-გალათასარაი | 1.75 | 1.85 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | |
| 23.45 | 5509 | ლიონი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5510 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5511 | დინამო-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5512 | არსენალი-ლოკომოტივი | 3,0 | 2.8 | 2,0 |
| 23.45 | 5513 | აეკ-მონაკო | 3,0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5514 | პსვ-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.45 | 5515 | იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი | 3.0 | 2,8 | 2.0 |
| 23.45 | 5516 | სოსიედადი-გალათასარაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | |
| 23.45 | 5409 | ლიონი-სელტიკი | 1,65 | 2.3 |
| 23.45 | 5410 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 1,25 | 3,7 |
| 23.45 | 5411 | დინამო-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 23.45 | 5412 | არსენალი-ლოკომოტივი | 1,2 | 4,0 |
| 23.45 | 5413 | აეკ-მონაკო | 2,1 | 1,75 |
| 23.45 | 5414 | პსვ-დეპორტივო | 1,85 | 1,95 |
| 23.45 | 5415 | იუვენტუსი-ოლიმპიაკოსი | 1,25 | 3,7 |
| 23.45 | 5416 | სოსიედადი-გალათასარაი | 1,65 | 2,3 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 13.12 16.00 | 5601 | ინგლისი პლ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.12 18.30 | 5602 | გერმანია ბლ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.12 22.30 | 5603 | ესპანეთი Iდ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 13.12 20.15 | 5604 | საფრანგეთი Iდ (XVIII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 12.12 01.00 | 5605 | პორტუგალია სლ (XIV) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 12.12 23.00 | 5606 | ჰოლანდია Iდ (XV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1.9 |
| 12.12 23.30 | 5607 | ბელგია Iდ (XVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **10 დეკემბერი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 5109 | ლიონი-სელტიკი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.45 | 5110 | ბაიერნი-ანდერლეხტი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 5111 | დინამო-ინტერი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 23.45 | 5112 | არსენალი-ლოკომოტივი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 23.45 | 5113 | აეკ-მონაკო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 23.45 | 5114 | პსვ-დეპორტივო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.45 | 5115 | იუვენტუსი-ოლიმპიაკ. | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 17,0 | 20,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 5116 | სოსიედადი-გალათასარაი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# საქართველოს ჩემპიონატი

9 დეკემბერი, ვერის ბაღი

**სტუ 84:93 ბასკო**

18:26, 16:22, 25:23, 25:22

სტუ: ნიკოლაძე (17), ხეცურიანი (15), მარკოიშვილი (11), ლ. შანიძე (19), ოგანესიანი (11); დავითულიანი (5), ახალკაცი (4), მიქაძე (2), გაგნიძე

ბასკო: ი. ბერიშვილი (15), ბ. ბერიშვილი (13), კეშელავა (15), ტუჯანი (15), ბერძენიშვილი (25); დ. ბერიშვილი (4), იმნაძე (4), როდუმტა (2), ჩხატარაშვილი, კვიმსაძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 66:88 რუსთავი**

19:16, 15:25, 15:25, 17:22

მაკაბი: ნინოშვილი (7), წოწელია (27), ვაშაკიძე (4), ფიცხელაური (2), სუხიშვილი (13); ოთიურიძე (8), კონჯარია (5), ქოქოსაძე, ტატუნაშვილი

რუსთავი: არწივიძე (14), გოგობერიშვილი (19), ჯიმშელეიშვილი (5), ტყეშელაშვილი (8), ბერუაშვილი (13); დანელიანი (16), ჩაჩუა (7), ჩხეიძე (6)

მსაჯები ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ გელოვანი

## შემოდგომის აზნაურებს ზამთარში ბატონობა სურთ

ვერის ბაღის, ეგრეთ წოდებულ, პრესლოჟაში სპორტული გაგებით წონიანი ხალხი შეკრებილიყო. „სტუ-ჯეოსელისა“ და „ბასკოს“ დუელმა არათუ კალათბურთის ფედერაციის მთელი ჩინოსნობა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილიც კი დააინტერესა. უბრალო ხალხიც ბლომად იყო. მოკლედ, ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე ამ მატჩს ინტერესი არ აკლდა.

მეორე წრის დასრულებამდე თითებზე დასათვლელი მატჩები რჩება, გუნდებს საახალწლო უქმობა ელით და ზამთრის ჩემპიონის გამოსავლენად ამ შეხვედრაზე ბევრი იყო დამოკიდებული.

მატჩი გულიანი და მრავალფეროვანი გამოდგა, მაგრამ მთლად ისეთი ვერა, ხალხი რომ ელოდა. მიზეზი ალბათ არატოლძალოვანი შემადგენლობები იყო. „სტუ-ჯეოსელის“ ერთ-ერთ ლიდერ ზვიად ბაბიაშვილს დაუკრავს ფეხი და სლოვენიაში წასულა. იქ ლიუბლიანის „სლოვანში“ ისინჯება და მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუბრუნდება ტექნიკოსებს, თუ სლოვენიელები დაიწუნებენ. თუ ბაბიაშვილი საბოლოოდ დარჩება „სლოვანში“, საჩემპიონო რბოლას ალბათ ერთი გუნდი ჩამოშორდება „სტუ-ჯეოსელის“ სახით.

თამაში მაღლების ჯახით დაიწყო და დაბლების ძიძგილაობაში გადაიზარდა. თავიდან ცენტრებმა მოსინჯეს ძალები და ბასკოელმა დავით ბერძენიშვილმა პირწმინდად დაჩაგრა „სტუდენტი“ არმენ ოგანესიანი. „ბერძენამ“ უხვად ხვეტა ორქულიანები და „ბასკომაც“ პირველი მეოთხედის შუაში ექვსქულიან უპირატესობას მიაღწია. ბათუმელთა მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმა დრო იხელთა და ბერძენიშვილი დასასვენებლად მოედნიდან გაიხმო. მის ნაცვლად მოთამაშე წოწოლა ზანგი პლასიდე როდუმტა კი მართალია, „ბერძენას“ დარად ვერ ქულუხვობდა, მაგრამ დაცვაში საიმედოდ ირჯებოდა და თამაშს არ აფუჭებდა.

ტექნიკოსები ცდილობდნენ, ჩვეული სწრაფი შეტევებით ეხეირათ, მაგრამ მათ მოწადინებას აზრი დაუკარგა ბათუმელმა ლაშა კეშელავამ, რომელმაც მიყოლებით გატყორცნა სამქულიანები და ბათუმელებს 8-ქულიანი საპირველმეოთხედო ლიდერობა დაუბევა — 26:18.

სტუდენტებმა მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანეს, ლამის გაუვალი ზონაც დააყენეს, მაგრამ როცა ეგონათ, სამწამიანში ჩიტიც ვერ შეგვიფრინდებაო, ხან ბენძენიშვილი გაიშლიგინებდა სანახებში და ხან ჟოლივეტ ტუჯანი. კამერუნელ ზამბარ-კაცზე ცალკეა სათქმელი. ტუჯანი ჩხირივით გამხდარი კი ჩანს, მაგრამ კუნთები ისეთები აყრია, ფარქვეშ ნებისმიერ ქართველს დაეჯაჯგურება. ხტომაშიც ხომ ვერავინ შეეცილება და „ჟოლი“ გუშინ დიდად დაეხმარა ბათუმელებს.

სტუდენტურ ზონას ბათუმელებმა შორი სროლებით დაუკარგეს ეფექტი, თუმც სტუ-ს დაცვის გამტეხი მაინც სწრაფი პასი იყო. ირაკლი, დათო და ბუბა ბერიშვილები ხან ერთიმეორეს ასაჩუქრებდნენ გამოზომილი გადაცემებით, ხანაც შედარებით ტანმაღალ თანაგუნდელებს პოულობდნენ ფარქვეშ. ბათუმელებს გარჯა დაუფასდათ და პირველი ტაიმის მიწურულს 20 ქულით დაწინაურდნენ.

მესამე ათწუთეულში ისეთი თამაში გაჩაღდა, არც „ბასკოს“ გამარჯვება გაირკვა და ვერც სტუ-მ მოახერხა ანგარიშის ბევრად შემცირება. ბოლო მეოთხედის წინ „ბასკო“ 12 ქულას იგებდა და უყოჩოდ დარჩენილი სტუდენტების მიძალებასაც იოლად უმკლავდებოდა. ტექნიკოსებს მაინც არ სურდათ დანებება და ლუკა შანიძეს რომ სროლები წაუვიდა, იმედიც მიეცათ. „შანომ“ არაერთი სამქულიანი მიითვალა და სტუ-ს ქომაგობით ანთებული ღარბაზიც გამოცოცხლდა. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე სტუდენტთა ჩამორჩენა 5 ქულასღა შეადგენდა, მაგრამ ბათუმელები ტექნიკოსთა ყოველ შედეგიან შეტევას არანაკლებ წარმატებით პასუხობდნენ და უკანასკნელმა წუთმა ისე მოატანა, თბილისელებს თამაშის გადარჩენის შანსიც არ მისცემიათ.

თავში ნახსენებ ზამთრის ჩემპიონს კი 14 დეკემბრის ბათუმური შეხვედრა გამოავლენს, რომელშიც „ბასკო“ „დინამოს“ დაეტაკება.

**ირაკლი პერტაია**



სტუ-ს ცენტრმა გულივერ ახალკაცმა „ბასკოს“ ფარქვეშ ხეირი ვერ ნახა

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 11 | 2 | +269 | 24 |
| ბასკო | 12 | 10 | 2 | +304 | 22 |
| სტუ | 13 | 9 | 4 | +188 | 22 |
| თსუ | 13 | 9 | 4 | +106 | 22 |
| რუსთავი | 13 | 7 | 6 | +34 | 20 |
| მაკაბი | 13 | 4 | 9 | -120 | 17 |
| სსუ | 13 | 2 | 11 | -302 | 15 |
| ქუთაისი | 14 | 0 | 14 | -479 | 14 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ო, რა კაია!

### ფაჩულიამ და ორლანდომ გამარჯვება გასინჯეს



ზაზა ფაჩულიამ „ფინიქსს“ სარეკორდოდ ბევრი 8 ქულა ჩაუგდო

— 8 დეკემბერი —

**ორლანდო 105:98 ფინიქსი**

ორლანდო: ლუ (9), გირიჩეკი (19), მაკგრეიდი (16 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი), ჰოვარდი (19), დეკლერკი; გუდენი (21), ფაჩულია (23 წუთი, 8 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება), უილიამსი (7), ჰარვი (6), ბოგანსი

ფინიქსი: მარბერი (15 ქულა, 11 პასი), ჰარდევეი (22), მარიონი (29 ქულა, 17 მოხსნა), გულიოტა (4), ვოსკული (6); უილიამსი (10), ჯონსონი (6), ჯეკობსენი (3), ვაიტი (3), ბარბოსა

**იუტა 80:102 ბოსტონი**

იუტა: ჰარპრინგი (17), ბელი (16)

ბოსტონი: უილიამსი (19), ჯეიმსი (18)

**ჩიკაგო 82:96 სან ანტონიო**

ჩიკაგო: კროუფორდი (26), დევისი (16)

სან ანტონიო: ჯინობილი (26) , დანკანი (17 ქულა, 14 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 91:85 მილუოკი**

ნიუ ორლეანი: მალუა (20), დევისი (18 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა, 5 ჩაჭრა)

მილუოკი: მეისონი (17)

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. მათდა სამწუხაროდ, გვიან მოხდა — ორლანდოელებმა როგორც იქნა, მოიგეს და შეწყვიტეს 19-მატჩა წაგებების სერია. პირველი თამაში მოიგო „ორლანდოს“ ახალმა თავკაცმა ჯონი დევისმა და ასევე პირველი გამარჯვება დააჭაშნიკა ზაზა ფაჩულიამაც.

ზაზამ ამ გამარჯვებაში მოკრძალებული წილი დაიდო. 8 ქულა, ვთქვათ, ტრეისი მაკგრეიდისთვის კატასტროფა იქნებოდა, 19 წლის ქართველი ახალბედასთვის კი ის შედეგია, გულში სიამაყის ნაპერწკალს რომ აუნთებს და მომავლისთვის ოპტიმისტურად განაწყობს. ზაზამ ნახევარი თამაში, 23 წუთი მოედანზე გაატარა, ბევრად მეტი, ვიდრე ჯადოთა დამწყებმა ცენტრმა ენდრიუ დეკლერკმა და სათადარიგოთაგანაც წუთებსა და ქულებში მხოლოდ დრიუ გუდენს ჩამორჩა.

გუშინ დილით ზაზამაც და მისიანებმაც კარგა ხნის შემდეგ პირველად განიცადეს გამარჯვების სიხარული. „კარგა ხანია, გასახდელში ასე ბედნიერები არ ვყოფილვართ“ — ამბობდა ტრეისი მაკგრეიდი. „ორლანდოს“ ლიდერმა იმ დღეს უსაშველოდ ბევრი ბურთი ვერ ჩააგდო (17 სროლიდან 12 ააცილა), თუმც სხვა ლიდერებმა როგორც იქნა, ერთად გამოიღეს ხელი და „ორლანდოსთვის“ ყინულიც დაიძრა.

არადა, დიდი შანსი იყო, ფლორიდელებს გაეგრძელებინათ კარგა ხნის წინ დაწყებული საქმე და მიჯრით მარცხები 20-მდე დაემრგვალებინათ. „ფინიქსმა“ და მეტადრე მათმა ექსორლანდოელმა მსროლელმა ანფერნი ჰარდევეიმ თავიდანვე იოლად მოუძებნეს გასაღები მასპინძელთა შელახულ დაცვას და უკვე პირველ მეოთხედში 22 ქულით (!) დაწინაურდნენ. „ორლანდომ“ შეძლო მობილიზება და ნერვიულობის მაგივრად საქმეს მიხედა. საქმეც თანდათან დაიძრა, სხვაობამ კლება იწყო და „მეჯიქმა“ მატჩი 10:2 გაქცევით დაასრულა.

„ჩვენთვის სეზონი ახლა იწყება — ამბობს მაკგრეიდი — არ დაგვავიწყდება გამარჯვების გემო და ახლა ვაპირებთ მოგებების აკრეფას.“

რამდენად ბევრს აკრეფენ, ამას ვერავინ იწინასწარმეტყველებს, ფაქტი კი და „ორლანდოსთვის“ სამწუხაროს მეტყველია — 2 გამარჯვება 19 მარცხის წილ. პლეი ოფზე ხელს ჯერ არ ჩაიქნევდნენ, მაგრამ ორლანდოელებმა უზარმაზარი ფორა მისცეს აღმოსავლეთში თავიანთ კონკურენტებს.

დღის სხვა თამაშებიდან გამოსარჩევია დივიზიონის ცხრილის ფსკერზე დაყვინთული ჩემპიონის „სან ანტონიოს“ გამარჯვება ჩიკაგოში. ტიმ დანკანსა და მის ღონცებს ყველა თამაშში დიდი ჯაფა ადგათ და ვერც „ჩიკაგოსთან“ გაისეირნეს, ბოლო მეოთხედამდე მაგრადაც გაწვალდნენ. აქ კი თანაგუნდელებს ტვირთი ჩამოხსნა არგენტინელმა მანუ ჯინობილიმ, ვინაც თავისი 26-ქულიანი მონაგრიდან 14 ბოლო ხუთ წუთში მოიმკა და „სპურზს“ თამაში მშვიდად ჩაამთავრებინა.

**კოტე ყორშია**

## საქართველოს ჩემპიონატი
ბლეი აუტი. პირველი მატჩი

# ჩხუბი ისწავლეთ, შვილებო
## უნივერსიტეტი დალელოვდა

9 დეკემბერი. თბილისი. „ლოკომოტივი"

**უნივერსიტეტი 9:21 ლელო**

**უნივერსიტეტი:** ჭუმბურიძე, დგებუაძე, მ. კობერიძე, გიგაური, თევზაძე, კილასონია, ლვინჯილია; გაგნიძე (დარასელია), კორკოტაძე (ტურაშვილი), სუთიაშვილი, კობახიძე, სანაძე (კობეშავიძე), ნიშნიანიძე, ალავერდაშვილი (კაკოვინი), მელიქიძე

**პს:** ჭუმბურიძე (3)

**ლელო:** ზაალიშვილი, გილაური, გ. მჭედლიშვილი, ფირფილაშვილი, ჯამრულიძე, ბარკალაია, თოფურია; ბელქანია, დათუნაშვილი, ს. მჭედლიშვილი, გორგოძე, ხაბეიშვილი, გელანტია, სანიკიძე, ვალიშვილი

**პლ:** ბელქანია (2), ბარკალაია; **2ს:** ბარკალაია

**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი

„ეჰ, შვილო, ესეთები არიან, რაგბის არაფერი არ გაეგებათ, თავი მოედანზე კი არა, ქუჩაში ჰგონიათ" — ამოიოხრა გუშინ ერთმა ვეტერანმა მორაგბემ და სინანულით განაგრძო მოედანზე ატეხილი დაკა-დაკას შემდგომი მოვლენების ქცერა.

ამ ძიაკაცს მოედანზე გაჩაღებული ბარაქიანი გუნდური ჩხუბის გამო არ დასწყვეტია გული. მუშტი-კრივი რაგბის განუყოფელი ნაწილია და საერთოდაც რაგბი სანახაობასთან ერთად სპორტული მუშტიკვრაცაა. ამ კაცმა ერთი სათადარიგო მორაგბის საქციელის გამო ამოიოხრა, რომელმაც იმის მაგივრად, რომ მოჩხუბარნი გაეშველებინა, პირით ხაზთან ჩარჭობილი დროშა ამოაძრო და ხისტარიან „ბაირაღს" საიკაძის ხმალივით იქნევდა. ახლა ნუ ჩავეძიებით, რომელი გუნდის წევრი იყო ის ბიჭი, უბრალოდ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ: რაგბის არსი და სული არის, რომ ჩხუბობენ მხოლოდ მოედანზე მყოფები (ცხადია, მსაჯები არა), მერე მათ აშველებენ, ნამატჩევს კი ხელის ჩამორთმევით და ცოცხალი დერეფნით გუნდები ერთმანეთს აცილებენ. აქ მთავრდება ყველანაირი წყენა და ბოღმა.



[illegible] ფოტო

უნივერსიტეტის ცხრავე ქულა
არჩილ ჭუმბურიძის ანგარიშზეა

რაც მთავარია, გუშინ ორივე გუნდის მწვრთნელ-მორაგბეები ერთმანეთს მშვიდობით და მადლობით დაშორდნენ.

თამაში კი მართლაც დაძაბული და საინტერესო გამოდგა. „ლელო" უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და საამისოდ ორმატჩა დუელში „უნივერსიტეტის" დამარცხება მართებს.

საპასუხო მატჩის წინ „ლელომ" გვარიანი ჰანდიკაპი შეიქმნა, ოღონდ ეგაა, 12-ქულიანი ფორა უშფოთველი ძილის საფუძველს ნაღდად ვერ იძლევა.

ჩხუბამდე მცირე უპირატესობას „ლელო" ფლობდა, თუმც სტუდენტები მომენტებში იჩხვლიტებოდნენ და რომ არა საუმაღლესო გამოუცდელობა, ეგებ ლელოც გაეტანათ. „უნივერსიტეტმა" ლელო ვერ გაიტანა, მაგრამ მეტოქის სამ ლელოს და ორ საჯარიმოს არჩილ ჭუმბურიძემ ჰეთ თრიქით უპასუხა და განმეორებითი მატჩისთვის თავისიანებს მცირე, მაგრამ შანსი მაინც შეუნარჩუნა.

**ბაჩო სვანიძე**



ორგზის ევროჩემპიონ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს წლეულს სერიოზული საერთაშორისო ტურნირი აღარ ელის და ლონდონური წარმატების შემდეგ შეუძლია, მშვიდად მოისვენოს. თუმც ეს არ ითქმის ნაკრების ყველა წევრზე. ახლო მომავლისთვის გუნდში ადგილი ოდენ ხუთ-ექვს ქვს დაბევებული, დანარჩენებს კი თავიანთი ძალის დამტკიცება შაბათ-კვირას საქართველოს ჩემპიონატზე უშუალო კონკურენტებთან ბრძოლაში მოუწევთ

# ლექსო — ლეგენდა
## ხაბარელმა რკინის ქალამნები მოიმზადა



შოთა ხაბარელი

გუშინ სპორტის დეპარტამენტის საპრესკონფერენციო დარბაზში მასმედიასთან შესახვედრად ძიუდოს ფედერაციის მაღალჩინოსნები და ოქროს მომგები ბიჭები შეიკრიბნენ. შოთა ხაბარელმა და ანზორ მარტყოფიშვილმა ლონდონურ ტურნირთან ერთად სეზონიც შეაჯამეს. მანამდე კი ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა ნაკრების საევროპო დაფინანსების ამბავი კიდევ ერთხელ გაიხსენა — „ბრიტანეთში წასასვლელი ფულის საკითხი ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო. ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა და, ცხადია, ასეთი სახსრები არ გააჩნდა. დეპარტამენტმაც ვერ დაგვაფინანსა და ბოლოს საქმე ფინანსთა მინისტრამდე მივიდა. სამინისტროდანაც არ მოხერხდა ფულის გამორიცხვა. მშველელად ბიზნესმენები გამოგვიჩნდნენ, რომლებმაც ჩვენი პრობლემის შესახებ მასმედიის საშუალებით შეიტყვეს. იმედია, დეპარტამენტი ამ ფულს ხამომავლოდ მაინც გამოგვიყოფს და შევძლებთ, სალი უკან დავაბრუნოთ, თუმც ეს უკვე მეორეხარისხოვანია. მთავარია, ნაკრებმა ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება შეძლო."

შოთა ხაბარელმა ყურადღება არაობიექტურ მსაჯობაზე გაამახვილა — „ბევრჯერ გვითქვამს, წავაგეთ, რადგან მსაჯმა გაგვწირაო, ამჯერად კი საშინელი უსამართლობის მიუხედავად, მაინც მოვიგეთ. ამის უყურადღებოდ დატოვებას მაინც არ ვაპირებთ. ჩვენი მოჭიდავეების ჩაგვრა საერთაშორისო ფედერაციის შეფებმა საკუთარი თვალით ნახეს. მათ სახელზე საპროტესტო წერილს დავწერთ, მსგავსი ფაქტები მომავალშიც რომ არ განმეორდეს. ივერი ჯიქურაულის ესპანელი მოწინააღმდეგე სამ წუთში უნდა მოეხსნათ, მაგრამ იმდენი ქნეს, ფრე დაამთავრეს, დავითაშვილთან კი ველარაფერს გახდნენ. ლექსოს გუნდური ჩემპიონატების ლეგენდა შევარქვით. მან უკვე მესამედ მოუტანა საქართველოს ნაკრებს სიხარული. ჩემპიონობის შენარჩუნებასთან ერთად ჩემთვის ყველაზე კარგი ის იყო, რომ ბიჭებში საოცარი გუნდური სულისკვეთება შევნიშნე. ევროპა შარშანაც მოვიგეთ და მსოფლიოს ფინალშიც გავედით, მაგრამ ასე შეკრულები მაშინ მართლა არ ვყოფილვართ."

პრესკონფერენციის ბოლოს ანზორ მარტყოფიშვილმა ქართველი ძიუდოისტების მიერ წლეულს მოგებულ 70 მედალზე და თბილისის ტრადიციული ტურნირის აპრილიში გადატანაზე ისაუბრა, მწვრთნელმა კი აღნიშნა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის გუნდი ძირითადად საქართველოში მოემზადება, თუმც საერთაშორისო ტურნირების წინ შესაძლოა, რამდენიმე საზღვარგარეთული შეკრებაც მოეწყოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ათენი, ტერაქტები და უშიშროება
## ოლიმპიურ სოფელში ჩიტებსაც არ შეაფრენენ

*მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებზე იქაური ოლიმპიური სოფელი ერთი შეხედვით საგულდაგულოდ იყო დაცული, მაგრამ იმ დილით პალესტინის ექსრემისტული ორგანიზაცია „შავი სექტემბრის" შვიდკაციანი ჯგუფის წევრებმა მაინც მოახერხეს იქ შეღწევა. ისინი თავს დაესხნენ ისრაელის მოჭიდავეთა გუნდს და უმალ ავტომატის ჯერით ადგილზე მოკლეს ნაკრების მწვრთნელი და ერთი სპორტსმენი, დანარჩენები კი დაატყვევეს. მერე, უკვე აეროპორტში მძევალთა გათავისუფლების ცდისას ტერორისტებმა გუნდის ყველა წევრი ამოხოცეს. ამ ამბავს კიდევ ერთი პილოტი, პოლიციელი და შვეულმფრენი შეეწირა*



ბოლო ხანს მომრავლებულმა ტერაქტებმა ოლიმპიური მსოფლიოც დააფრთხო

მას შემდეგ ოლიმპიურ თამაშებზე უსაფრთხოებას განსაკუთრებული მონდომებით იცავენ, რაზეც მილიონობით დოლარი იხარჯება. მიუხედავად ამისა, 1996 წელს ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ოლიმპიურ სკვერში ტერორისტების თუ ტერორისტთა ჯგუფის მიერ აფეთქებულ თვითნაკეთ ბომბს ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და კიდევ 110, ზოგი მონაცემით კი 140 კაცი დაიჭრა.

ნიუიორკსა და ვაშინგტონში შარშანწინდელი 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების მერე, რასაც ტყუპ ცათამბჯენებთან ერთად 3000 კაცის სიცოცხლე შეეწირა, მსოფლიო მთლად დაიზაფრა.

დაიზაფრა ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტიც, მით უმეტეს, რომ იმ შავი 11 სექტემბრის მერე სხვადასხვა ქვეყნებში ტერორისტული აქტების ტალღა აგორდა.

თუნდაც ჯერაც ცხელი თურქული აფეთქებები გავიხსენოთ... სტამბულში 25 კაცი დაიღუპა. საბერძნეთის ოფიციალური პირები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სტამბოლის ეს ტერორისტული აქტები ოლიმპიური თამაშების დღეებში ზეგავლენას არ იქონიებს ადამიანთა გადაადგილებაზე, რომელიც ევროკავშირის ქვეყანათა უმრავლესობის მიერ 1985 წელს შენგენის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

არადა, მაშინ დაადგინეს, რომ უსაფრთხოების მოსაზრებებით შესაძლოა ამ ხელშეკრულების მოქმედება შეჩერდესო. ბერძნები ამას ჯერჯერობით არ აპირებენ და უსაფრთხოების ხარჯებს სულ უფრო ზრდიან.

ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის საამისოდ 750 მილიონი ამერიკული დოლარია გამოყოფილი. ამასთან, 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელთათვის შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც საბერძნეთს უსაფრთხოებაზე უწევს კონსულტაციებს. ჯგუფში აქამდე წარმოდგენილი იყო შვიდი ქვეყანა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ისრაელი და ესპანეთი, რომლებსაც ტერორიზმთან ბრძოლის მეტ-ნაკლებად დიდი გამოცდილება აქვთ, ამ დღეებში კი მათ შეემატა რუსეთი, რომელსაც, რა დასამალია, და, საკუთარი თავისთვისაც კი ვერ მოუვლია...

ასეა თუ ისე, „ათენი-2004-ის" მასპინძლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ოლიმპიური სოფლის უსაფრთხოებას, რისთვისაც მას ორმაგ რკინა-ბეტონის გალავანს ავლებენ, რასაც, ალბათ, ტანკიც ვერ გაარღვევს. ეგეც რომ არ იყოს, იმ გალავნამდე მიღწევაც დიდი პრობლემა იქნება.

ამასობაში დასასრულს უახლოვდება იმ ოლიმპიური ბაზების მშენებლობაც, რომელთა დროზე დასრულებაც ყველას აღელვებდა. იმ ბაზებს შორის, რომელთა მშენებლობის გრაფიკიც დაგეგმილს ძალზე ჩამორჩებოდა, იყო მთავარი ოლიმპიური სტადიონიც. ესპანელი არქიტექტორი სანტიაგო კალატავა, რომელიც ამ სტადიონის მინალითონით გადახურვის კონსტრუქტორია, ამბობს, რომ ყველა სამუშაო დროულად, გაისად აპრილის ბოლოს დასრულდება, როგორც ეს დაგეგმილი იყოო. ამასთან, მისი მშენებლობა დაგეგმილს არ გადააჭარბებსო.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

# დადე ქამარი!
## ლუისს კოტრიალს არ აცლიან


ვიტალი ლენოქსზე ძველი ქინით იწევს

**სანამ** ლენოქს ლუისი ვიტალი კლიჩკოსთან რემატჩისგან თავის არიდებას არ მოიშლის და განმეორებით ბრძოლაზე თავს არ დაიქნევს, საკრივო პუბლიკას უწონო მძიმეწონიანები ართობენ. თან ართობენ, თან ვერა.

ვიტალი კლიჩკოს მეტოქედ, ცხადია, ლუისი ერჩივნა, თუმც რაკი ჩემპიონი რინგზე გამოჩენას ჯერ არ აპირებს, უკრაინელმა ცუდად ჯდომას ცუდად შრომა არჩია და ამ შაბათს ნიუ იორკში, რა თქმა უნდა, „მედისონ სკვერ გარდენში" ამერიკელი თავჩაწნული ზანგი კორკ ჯონსონი დაჩეჩქვა.

ჯონსონი ვიღაცა არაა, მძიმე წონის მსოფლიო ათეულში მყარად ზის და აქამდე ბევრი გამარჯვების წილ მხოლოდ ჯონ რუისსთან ნაგემი მარცხი ჰქონდა. ამ ტიტულატურა-გამარჯვების მიუხედავად, შაბათს ის პატარა ზანგის ბუჭუნასავით უმწეო ჩანდა უკრაინელი გოლიათის ხელში. ვიტალიმ მას მეორე რაუნდშივე მოუთავა ხელი.

მატჩის შემდეგ კი აგორდა ის ხმები, რომლებმაც სახლში შეყუჟული ლუისი რინგზე უნდა გამოიტყუოს. ვიტალი და მისი ბანაკი არ ურიგდებიან ლუისთან საეჭვოდ ჩათვლილ მარცხს და ახალი თავგამოდებით ითხოვენ რემატჩს. „ყველამ იცის, რომ ვიტალიმ ის პირველი ბრძოლა მოიგო — უკვე მერამდენედ ამბობს მისი ტყუპისცალი ძმა ვლადიმირი — ლოს ანჯელესში მან მოიგო ბრძოლა, მაგრამ არ მოაგებინეს ქამარი."

და ახლა კლიჩკოები ქამარს უფრო ზუსტად კი ამ საქამრე რებრძოლას ითხოვენ.

ლუისი კი ჯერ სხვა საქმეებით იყო დაკავებული. მას ყოფილი პრომოუტერი პანოს ელიადისი უჩიოდა ლონდონის სასამართლოში, აქაოდა 11 წელი გიპატრონე, ყველაფერი მე გაშოვნინე და ახლა შენგან მიტოვებულს წილი მერგებაო. ლონდონის სასამართლომ, ისევე როგორც შარშან ამერიკულმა, მოკრივე გაამართლა.



ვიტალი კლიჩკო კორკ ჯონსონს გვემს

WBC-ს კანტორა, რომლის საჩემპიონო ქამარსაც ფლობს ლუისი, ახლა იმას მეცადინეობს 38 წლის ბრიტს უქმად კოტრიალი არ გაუტკბეს და დროზე დაიწყოს კლიჩკოსთან სარემატჩო მოლაპარაკებები. თუ არა და ქამრის ჩამორთმევით ემუქრება. ლუისმა ბოლო წლების უდავოდ მსოფლიოს საუკეთესო მძიმეწონოსანმა უკვე ორი ქამარი დაკარგა რინგსგარეთ. ევანდერ ჰოლიფილდისთვის წართმეული WBA-ს და IBF-ს ქამრებიდან პირველი სასამართლომ წაჰგლიჯა, ხოლო მეორეს თავად ლენოქსი ვერ მოუფრთხილდა, ახლანდელივით დროზე არ დაიცვა და ჩამოართვეს კიდეც.

**ძოტე ყორშია**



## მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები.
### ხორვატია. 2-14 დეკემბერი. მეორე ეტ[illegible]

**პირველი ჯგუფი (ზაგრები)**

**ესპანეთი 27:26 ავსტრია**
**საფრანგეთი 25:27 კორეა**
**სერბეთი 31:27 რუსეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კორეა | 2 | 0 | 1 | 68:62 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 59:55 | 4 |
| რუსეთი | 2 | 0 | 1 | 58:57 | 4 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 55:52 | 4 |
| სერბეთი | 1 | 0 | 2 | 56:60 | 2 |
| ავსტრია | 0 | 0 | 3 | 60:70 | 0 |

**მეორე ჯგუფი (რიეკა)**

**უკრაინა 26:25 სლოვენია**
**ნორვეგია 31:30 გერმანია**
**რუმინეთი 27:30 უნგრეთი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 1 | 0 | 59:57 | 5 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 68:55 | 4 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 59:51 | 4 |
| გერმანია | 1 | 0 | 2 | 58:57 | 2 |
| სლოვენია | 1 | 0 | 2 | 54:67 | 2 |
| რუმინეთი | 0 | 1 | 2 | 49:60 | 1 |



# ლეგენდჰალური ამბავი
## ჰალს ჰოუმდე ჰა და ჰა...

— 8 დეკემბერი —

**დეტროიტი 3:2 ლოს ანჯელესი**
*2:0 0:0 0:2 1:0*
**1:0 შენაჰანი (3), 2:0 დაციუკი (7), 2:1 კამალერი (51), 2:2 სტრაკა (58), 3:2 ჰალი (62)**

ბრეტ ჰალმა იცის, როდის გაიტანოს. ნჰლ-ის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე გამოჩენილმა მეგოლემ ყველაფერი გათვალა და ისტორიული შაიბა ქომაგების თვალწინ სწორედ გადამწყვეტ მომენტში შაგდო. „ლოს ანჯელესთან" მატჩის ოვერტაიმში „ოქროს ბრეტმა" კარისგან ოდნავ მოშორებით ჩვეული პოზიცია დაიკავა, ყვანჯი გააქნია და მეტოქის კარი კარიერაში 732-ედ დალაშქრა. ამით ჰალმა ლიგის ყველა დროის სნაიპერთა სიაში სახელოვან მარსელ დიონს გაუსწრო და მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. ახლა მის წინ მხოლოდ ლეგენდები არიან — უეინ გრეცკი (894) და გორდი ჰოუ (801). „სიაში მისტერ ჰოკეის (ჰოუს) ქვემოთ ყოფნა არავის შერცხვება" — უპასუხა ჰალმა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს.

ამ თამაშს ჰოუც ესწრებოდა. იგი „დეტროიტის" მკვიდრია და ამგვარ მატჩს როგორ გამოტოვებდა. ჰოდა, ჰოუმ ჰალი ერთობ შეაქო — „მაგარი სხარტია ეს ეშმაკი. თამაში ხუთიანზე იცის და ენერგიას ზერელედ არასდროს ხარჯავს. მისებრ მარჯვედ ვერავინ პოულობს ხვრელს." ნეტავ, რას იტყვის „მისტერ ჰოკეი" თუ ჰალი მასაც დაეწია. თუმც 70-შაიბიანი დისტანცია სახუმარო როდია. მით უმეტეს, რომ 38 წლის ბრეტს ბევრი არც დარჩა სათამაშო. ერთია, რომ მას წლებმა თითქმის ვერაფერი დააკლო, პირიქით, აგერ ბოუმაც თქვა ახლაც ძლიერიაო. ჰალს ბოლო 7 მატჩია, ყინული არ დაუტოვებია უგოლოდ.



ბრედ ჰალმა 732-ე გოლი გაიტანა

**მონრეალი 2:3 ფილადელფია**
*0:0 1:0 1:3*
**1:0 ზედნიკი (38), 1:1 იონსონი (43), 2:1 დაგენე (51), 2:2 რაგნარსონი (57), 2:3 ლეკლერი (59)**

ისევ „ფილადელფია", ისევ ლეკლერი და კვლავ სამწუხარო ანგარიში. „მონრეალისთვის" ამ მრისხანე მეტოქესთან ყოველი მატჩი ტანჯვაა. „კანადიენსის" ყოფილი მოთამაშე ჯონ ლეკლერი ლამის ყველა მატჩში იტანს გოლს. თუმც ამჯერად მასპინძლებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს და კინაღამ იმარჯვეს კიდეც.

**კოლორადო 4:1 ვაშინგტონი**
*1:0 0:0 2:1*
**1:0 სელიანე (6), 2:0 ბლეიკი (12), 2:1 გონჩარი (42), 3:1 ნიკოლიშინი (58), 4:1 ტანგეი (60)**

„კოლორადოს" საწუწუნო ნამდვილად აქვს. პირველი სეზონი პატრიკ რუას გარეშე, ტრავმირებული პეტერ ფორსბერგი, დამტვრეული პოლ კარია — უარესი რა უნდა დაატყდეს გუნდს თავს. „ზვავები" მაინც მტიცედ დგანან და გაჭირვებას არც იმჩნევენ, და იცით, რატომ? იმიტომ, რომ საკიკი ჰყავთ კაპიტნად. გუნდის ლიდერი კვლავ ამტკიცებს, რომ მძიმე სიტუაციაში ის ნამდვილი წინ გამძღოლი ბელადია და მისი 3 პასი ამის ნათელი დასტურია.

**ბოსტონი 2:2 ოტავა**
*0:1 2:1 0:0 0:0*
**0:1 ვარადა (3), 1:1 მაკგლისი (24), 2:1 გიურეი (27), 2:2 რედენი (37)**

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | |
| ფილადელფია | 27 | 17 | 6 | 1 | 3 | 83:51 | 41 |
| ნიუ ჯერსი | 25 | 14 | 6 | 0 | 5 | 60:40 | 34 |
| რეინჯერსი | 27 | 10 | 5 | 2 | 10 | 74:70 | 27 |
| აილენდერსი | 25 | 10 | 2 | 0 | 13 | 67:69 | 22 |
| პიტსბურგი | 26 | 6 | 4 | 1 | 15 | 51:94 | 17 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტორონტო | 28 | 15 | 5 | 2 | 6 | 79:70 | 37 |
| ბოსტონი | 27 | 12 | 6 | 4 | 5 | 72:66 | 34 |
| ოტავა | 27 | 12 | 3 | 3 | 9 | 83:60 | 30 |
| მონრეალი | 28 | 12 | 3 | 1 | 12 | 61:65 | 28 |
| ბუფალო | 28 | 12 | 2 | 1 | 13 | 63:73 | 27 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ატლანტა | 29 | 14 | 3 | 1 | 11 | 88:84 | 32 |
| ტამპა | 24 | 13 | 4 | 1 | 6 | 59:45 | 31 |
| ფლორიდა | 28 | 9 | 4 | 1 | 14 | 60:78 | 23 |
| კაროლინა | 27 | 7 | 8 | 1 | 11 | 52:66 | 23 |
| ვაშინგტონი | 28 | 8 | 1 | 1 | 18 | 70:89 | 18 |

NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL NHL

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 29 | 16 | 3 | 0 | 10 | 97:71 | 35 |
| სენტ ლუისი | 24 | 15 | 2 | 1 | 6 | 67:53 | 33 |
| ნეშვილი | 26 | 14 | 1 | 0 | 11 | 67:66 | 29 |
| კოლუმბუსი | 26 | 8 | 3 | 1 | 14 | 54:74 | 20 |
| ჩიკაგო | 28 | 6 | 5 | 3 | 14 | 53:81 | 20 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 27 | 16 | 3 | 1 | 7 | 86:63 | 36 |
| ვანკუვერი | 27 | 14 | 4 | 2 | 7 | 83:63 | 34 |
| კალგარი | 25 | 13 | 1 | 3 | 8 | 63:58 | 30 |
| ედმონტონი | 26 | 11 | 3 | 0 | 12 | 71:79 | 25 |
| მინესოტა | 27 | 9 | 5 | 0 | 13 | 55:60 | 23 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 27 | 14 | 1 | 2 | 10 | 72:63 | 31 |
| სან ხოსე | 27 | 9 | 9 | 2 | 7 | 65:65 | 29 |
| ანაჰაიმი | 28 | 9 | 4 | 5 | 10 | 62:77 | 27 |
| ფინიქსი | 27 | 9 | 7 | 1 | 10 | 68:81 | 26 |
| დალასი | 28 | 11 | 3 | 0 | 14 | 59:70 | 25 |



# ინგლისში მონტოია ურჩევნიათ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ლონდონში** შედგა პოპულარული ბრიტანული ჟურნალის „აუტოსპორტის" პრიზებით დაჯილდოების ტრადიციული ცერემონიალი.

ყველაზე პრესტიჟული ნომინაციის — „წლის მძღოლი" — ლაურეატი გახდა ფორმულა 1-ის წლევანდელი ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ხუან-პაბლო მონტოია. ჟურნალის მკითხველებმა სწორედ 28 წლის კოლუმბიელი დაასახელეს საუკეთესოდ და არა მსოფლიოს ჩემპიონი მიხაელ შუმახერი, ანდა ვიცე-ჩემპიონი კიმი რაიკონენი, დამსახურებად კი 2003 წლის სეზონში ინტრიგის შექმნა ჩაუთვალეს. მონტოიას პრიზი ლეგენდარულმა ბრიტანელმა პილოტმა, გასული საუკუნის 50-იან წლებში ოთხგზის ვიცე-ჩემპიონმა სტირლინგ მოსმა გადასცა.


ხუან-პაბლო მონტოიას ხალხის გართობა დაუფასეს

„მე ყოველთვის ვცდილობ, რბოლა მაყურებლებისთვის რაც შეიძლება საინტერესო იყოს და ბედნიერი ვარ, რომ ხალხმა ეს დააფასა" — აღნიშნა გახარებულმა ლაურეატმა. მერე კი სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოში თავის საგაისო, ბოლო სეზონზეც მოაყოლა ორი სიტყვა — „2004 წელი „უილიამსში" ჩემთვის უკანასკნელი იქნება და გპირდებით, „მაკლარენში" გადასვლამდე ყველაფერს ვილონებ, რომ ჩემპიონობა მოვიპოვო."





# გულვარდიანთა დაბრუნება






საერთო ეროვნული ზეიმისთვის ასეთი ზორბა მიზეზი ინგლისელებს მას მერე აღარ მისცემოდათ, რაც რომ შორეულ 1966 წელს მათმა საფეხბურთო ნაკრებმა შინ მსოფლიოს პირველობა მოიგო. ახლა გმირები ინგლისელი მორაგბეები არიან — მათმა უზადო და მოუწყვლელმა ნაკრებმა ორიოდ კვირის წინ ავსტრალიაში გასრულებულ მსოფლიოს თასზე მეტოქეებს ჰალალად და დამაჯერებლად აჯობა. გულვარდიანი ჯეელები ლონდონში მხოლოდ გუშინ დაბრუნდნენ და ეს აწითელჯვრებული და ალოყაგულებული ბასტი-ბუბუც სწორედ ამის გამო გაჩაღდა. მორაგბენი თვით დედოფალმა ელისაბედმაც ისტუმრა. გამორჩეული ყურადღების ცენტრში იყო კუნძულელთა ჯადოდამრტყმელი ჯონი უილკინსონი, ვისაც კიდევ უფრო მეტ ხარიზმას სძენდა მისი მომხიბლავი მეგობარი გოგო დაიანა სტიუარტი. ეს თასიანი კაცი კი — ეგებ ვინმემ არ იცოდეს — კლაივ ვუდვორდია, ჩემპიონი გუნდის ამაგდარი და ბრძენი თავკაცი. ამ თასით პირველს იმ სალამოს ალბათ სწორედ მას ადღეგრძელებდნენ.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა ბუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge